ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 6 ნოემბერი, 2017 №263 (7498) ფასი: 50 თეთრი



**„იგეგმებოდა მეუფე დიმიტრის დაკავება"**

რა საფრთხე ემუქრება მამა გიორგი მამალაძის ოჯახის წევრებს

გვ.5

**31 ოქტომბრიდან**

ონორე დე ბალზაკი

**კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე**

ნაწილი II



ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

# ქართული მარში ტრამპის მხარდასაჭერად აშშ-ის საელჩოსთან აქციას გამართავს



„მინისტრის მოადგილეობიდან ჩემს გადაყენებას სოროსის მონა თინა ხიდაშელი ითხოვდა"

სანდრო ბრეგაძე: „ამერიკის პრეზიდენტი არ გვაფინანსებს, მაგრამ მის ადმინისტრაციასთან კავშირი გვაქვს"



გვ.4



## კახა კუკავა: „მოსამართლე ივანე ღლონტს ჩვენს სასამართლოზე ეძინა"

„ეს არჩევნები ახალქალაქში, მარნეულსა და ვაკეში ერთნაირად გაყალბდა"

გვ.3

**სოსო ცინცაძე: „მერაბიშვილი ხმებს ვერცერთ პარტიას ვერ მოუტანს"**

გვ.2





**ვახტანგ მაისაია: „მეგის ქარდავას უკრაინა საქართველოს აუცილებლად გადმოსცემს"**

გვ.3

**სამართალი** გვ.7

**ბრიუსელში კატალონიის ლიდერი კარლეს პუჩდემონი დააპატიმრეს**



**პროკურატურამ პოლიციელების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაასრულა**



**ბათუმში დელტაპლანი, რომელზეც ტურისტები იყვნენ, ზღვაში ჩავარდა**

**ეკონომიკა**



გვ.6

**გიორგი ჩოგოვაძე: „მთავრობა ტურიზმიდან რეკორდულ შემოსავალს ელოდება"**

**როდის გაიყიდება ქართული თევზი ევროკავშირში**



**ვაშინგტონში პირველი ქართული რესტორანი იხსნება**




ISSN 1987-9385
9 771987 938006

8 რისთვის სჭირდებათ ირანსა და რუსეთს აზერბაიჯანთან დაახლოება

7 გაბრიელ ტანიე: „ქანაანის შვილები" სოფელ არგვეთაში დავიწყე და ბარსელონაში დავასრულე"

4 დიმიტრი მედოევი: „ოსების გენოციდის აღიარებისთვის უნდა ვიბრძოლოთ"

2 შალვა ნათელაშვილი: „არ მოვა გუგავა, მოვა გაძვირებული ქვითრები"

# „მერაბიშვილი ხმებს ვერცერთ პარტიას ვერ მოუტანს“

ნათია ხურცილავა

## სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნება“ კოალიციაზე არასდროს წავა“

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს ვანო მერაბიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლებლობისა და სხვა საკითხების შესახებ.

***– ბატონო სოსო, თუ ვანო მერაბიშვილმა საპატიმრო დაწესებულება დატოვა და ციხიდან გამოვიდა, პოლიტიკურ კარიერას გააგრძელებს?***

– აუცილებლად! რასაკვირველია, ვანო მერაბიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება. მას აქვს ამის უფლება და ასეც მოიქცევა. არ მგონია, რომ ციხიდან გამოსული მემუარების წერას შეუდგეს და მოუყვეს მკითხველს იმაზე, თუ როგორი იყო ციხეში მისი ცხოვრება.

თქვენ იცით, რომ მას აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი. სწორედ ამ სტატუსს გამოიყენებს ის და ციხიდან გამოვა, როგორც პოლიტპატიმარი და ამ სტატუსის ქვეშააწყობს შემდგომ პოლიტიკურ კარიერას.

***– იმუშავებს ეს სტატუსი, მოუტანს დივიდენდებს?***

– აი, ეს არის მთავარი, რა დივიდენდებს მოუტანს მას ეს ხალხში. მე ვფიქრობ, რომ დიდს ვერაფერს. რა უნდა უთხრას ხალხს, მაგალითად, წინასაარჩევნო კამპანიაზე, რომ ხმა მომეცითო? ეს არ იმუშავებს. გიგი უგულავაც გამოვიდა და წინასაარჩევნო კამპანია აწარმოა, მაგრამ რა მერე? თუმცა, უგულავასა და მერაბიშვილს შორის არის განსხვავება, უგულავას ხალხში გაღიზიანება არ გამოუწვევია, შეიძლება ვთქვათ, რომ პირველ დღეებში ბევრი გულშემატკივრობდა კიდეც, მაგრამ მერაბიშვილის შემთხვევაშიც ასე იქნება? არ მგონია.



***– უკვე ამბობენ, რომელ პარტიაში შეიძლება წავიდეს მერაბიშვილი. მერაბიშვილი ნებისმიერი პარტიისთვის მონაპოვარი იქნება თუ პირიქით?***

– ძალიან საინტერესო კითხვაა. როგორ გითხრათ, თუ საჯარო სახემ, ე.წ. ლიდერმა პარტიას უნდა მოუტანოს გამარჯვება, ამ შემთხვევაში ასეთ ლიდერთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე, მაგრამ, თუ კულუარული პოლიტიკა უნდა აწარმოოს მან, არ გამოჩნდეს და სადღაც შავი სამუშაოები აკეთოს, მაშინ შეიძლება, რაღაც მოუტანოს პარტიას. არ მგონია, რომ ასიათასობით ხმები მოუტანა უგულავამ „ევროპულ საქართველოს“, ასევე არ მგონია, რომ მერაბიშვილმა რამე გარდატეხა მოახდინოს ამ პარტიის წინსვლის საქმეში, გაძლიერების საქმეში. მერაბიშვილი არ არის ის ფიგურა, რომელსაც რომელიმე პარტიისთვის ხმების მოტანა შეუძლია.

***– ვანო მერაბიშვილი თუ გამოვიდა ციხიდან, ეს როგორ აისახება „ქართული ოცნების“ რეიტინგზე?***

– „ქართულმა ოცნებამ“ ეს ეტაპი უკვე გაიარა. თქვენ გახსოვთ ე.წ. სამართლიანობის მოთხოვნის, აღდგენის ლოზუნგი. ამ ლოზუნგით მოსულმა ხელისუფლებამ ეს უკვე დაივიწყა. ბოლო ორი წელია, არცერთი მაღალი თანამდებობის პირის, გნებავთ, „ქართული ოცნების“ რიგითი დეპუტატის ლექსიკონში ეს ფრაზა აღარ ისმის. ხალხი უკვე მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს – აღარ გვაწამებენ, ქუჩაში აღარ გვხვრეტენ, ციხეებში აღარ გვაუპატიურებენ და ამითაც კმაყოფილი უნდა ვიყოთ, ეს უნდა ვიკმაროთ. როგორც ჩანს, ამით ამოიწურება მთელი ეს ფილოსოფია. ამდენად, ასეთი პირდაპირი გავლენა არ მგონია, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგზე ჰქონდეს მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლას.

ჩვენთან ან იმარჯვებ არჩევნებში, ცვლი ხელისუფლებას, ან მიღებული 20% არაფერს ცვლის. ამ არჩევნებში გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“ იმიტომ, რომ რეალური ალტერნატივა არ ჰყავდა. ამდენად, 10-20% რაღაცას ნიშნავს მხოლოდ დემოკრატიულ, ევროპულ ქვეყნებში, სადაც კოალიციური მთავრობებია, ჩვენთან არაფერს ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, არასდროს წავა „ქართული ოცნება“ კოალიციურ მთავრობაზე.



თუ ევროპაში პარტიამ არჩევნებზე მიიღო 30%, მას გარანტირებული აქვს, რომ ქვეყნის მართვაში მიიღებს მონაწილეობას, მისი რამდენიმე წევრი მინისტრი იქნება. მაგალითად, გერმანიაში მერკელმა სულ ახლახან სწორედ ასეთი მოლაპარაკებები აწარმოა დაუძინებელ მოწინააღმდეგესთან, მაგრამ ეს მან გააკეთა თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. „ქართული ოცნება“ კოალიციას არასდროს დათანხმდება.

***– 2012 წელს ასე არ მოვიდა ხელისუფლებაში?***

– რასაკვირველია, მაგრამ მაშინ სულ სხვა პოლიტიკური რეალობა იყო. მაშინ „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდა თავში ავარდნილი. დღეს ნახეთ, რა ხდება. დღეს „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში 51 მილიონერი ჰყავს. საიდან ეს მილიონები, ეს ქონება? რატომ არ ხდება კვლევა, 2012 წლის შემდეგ დაუგროვდათ მათ ეს ქონება თუ მანამდეც ჰქონდათ?! აბა, ჰკითხეთ ზაქარია ქუცნაშვილს, როგორ დაუგროვდა ამდენი ქონება. ასეთ პირობებში კოალიციურ მთავრობაზე საუბარი ზედმეტია. ამიტომ გვაქვს ჯერ კიდევ ასეთი დაბალი პოლიტიკური კულტურა.

## შალვა ნათელაშვილი: „არ მოვა გუგავა, მოვა გაძვირებული ქვითრები“

ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის განცხადებით, სემეკში უკვე შესულია განაცხადი და გარდაუვალია კომუნალურ გადასახადებზე ფასის მომატება.

ნათელაშვილის თქმით, ეს ყველა იმ მოქალაქის ბრალია, რომლებიც ან არ მივიდნენ არჩევნებზე, ან კალაძესა და ,,ქართულ ოცნებას“ მისცეს ხმა.



– მე და მთელი პარტია ხელჩართულ ბრძოლას ვაწარმოებდით, რომ არ მომხდარიყო გაზის, წყლისა და ელექტროენერგიის გაძვირება. გავაფრთხილეთ ამომრჩეველი, რომ ხმის მიცემა კალაძისა და ოცნებისთვის ან სახლში დარჩენა და შორიდან ყურება იმისა, თუ როგორ განვითარდება ქვეყანა იყო დანაშაული, – ეს არ დაიჯერეს და ახლა მწარე ნაყოფს მოკრეფენ თავის ქმედების.

განაცხადი რეგისტრირებულია სემეკში, პროცედურა დაწყებულია და მოხდება წყალსა და გაზზე ფასის მომატება. დარჩენილი სამი წელი იქნება ეს მდგომარეობა და ამას ვერავინ შეაჩერებს. ამაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება 15-ლარიანებსა და სამსახურის გამო მონად გადაქცეულებს, ვინც სახლში იჯდა და ვინც კალაძეს ხმა მისცა. რომ ხუმრობდნენ გუგავა მოვაო, არ მოვა გუგავა, მოვა გაძვირებული ქვითრები და დააბრალონ თავის თავს, – ამბობს ნათელაშვილი ,,პირველ რადიოსთან“ საუბრისას.

**პირველი რადიო**

## გიგი უგულავა მიხეილ სააკაშვილს აკრიტიკებს

„არასწორია ასე გვერდზე გადაგდება, რომ ახალაია სულ ორჯერ მყავს ნანახი და მეგის ქარდავას არ ვიცნობ“

– ასე გვერდზე გადაგდება, რომ ახალაია სულ ორჯერ მყავს ნანახი და მეგის ქარდავას არ ვიცნობ, არასწორია, – ასე გამოეხმაურა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომ ის არ იცნობს უკრაინაში დაკავებულ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის ყოფილ ხელმძღვანელ მეგის ქარდავას.

თბილისის ექსმერის თქმით, სააკაშვილს არ აქვს უფლება, თავიდან აიცილოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

– მე ვთვლი, რომ არასწორია. ცნობით არც მე არ ვიცნობ იმ ადამიანს [მეგის ქარდავას], მაგრამ ფაქტია, იმ ციხეებში ბევრი უბედურება ხდებოდა. პოლიტიკური პასუხისმგებლობაა ჩვენზე, ვინც ვიყავით ხელისუფლებაში. მე საერთოდ მერი ვიყავი, საერთოდ არაფერში არ მეხებოდა, მაგრამ მე ეს მტკივა, ეს ჩემი პოლიტიკური პასუხისმგებლობაა.

ეს მიშას პოლიტიკური პასუხისმგებლობაცაა, ამიტომ ასე გვერდზე გადაგდება, რომ ახალაია სულ ორჯერ მყავს ნანახი და მეგის ქარდავას არ ვიცნობ, არასწორია. ამას ჩვენც არ ვაკეთებთ, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად მე მეტი უფლება მაქვს, ეს გავაკეთო. ამას არ ვაკეთებ, ამიტომ განსხვავებაც ზუსტად ეგაა და მაგიტომაც გავიყავით.

მე ამ პოლიტიკური პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მე ეს მტკივა და მე მინდა, რომ ეს თვითონ გამოვასწორო. არ მჯერა, რომ ამას გამოასწორებს „ქართული ოცნება“, – თქვა უგულავამ გადაცემა „360 გრადუსში“.

უგულავას შეფასებით, მმართველმა გუნდმა სასამართლო არა სამართლის აღსადგენად, არამედ შურისძიებისთვის გამოიყენა.

– „ოცნებამ“ სასამართლო გამოიყენა მარტო შურისძიებისთვის, მარტო პომპისთვის, მარტო ჩვენებისთვის, თუ რა ცუდები არიან ისინი (ყოფილი მთავრობა). არ გამოუყენებიათ მართლმსაჯულების ინტერესებისთვის, არადა, შანსი იყო, იყო 2012 წელს , რომ ამ სიგიჟეში არ შესულიყო, სასამართლო რომ არ მიგვეშვა, მაგრამ საპირისპირო მოხდა. რა გააკეთეს საკონსტიტუციო სასამართლოში, ხო ნახეთ?



ამიტომ პოლიტიკური პასუხისმგებლობის მოშორება არ გამოვა და არაა ეს გულწრფელი. გულწრფელია, როცა ჩვენ გვტკივა და ჩვენ გვინდა, ეს გამოვასწოროთ. ვილაცები კი თვლიან, რომ ნაცარი თავზე არ უნდა დავიყაროთ. მაგრამ ეს არაა ნაცრის ყრა, – აღნიშნა უგულავამ.

**მედიანიუსი**

## მიხეილ სააკაშვილი: „ბებიაჩემი მუშაობს, დედაჩემი მუშაობს, მეუღლე მუშაობს, თავის გატანის პრობლემა არ მაქვს“

საქართველოს ექსპრეზიდენტის, ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის განმარტებით, იგი ფუფუნებაში არ ცხოვრობს და არც არასდროს მიისწრაფვოდა ფუფუნებისკენ.

ამის შესახებ სააკაშვილმა უკრაინულ ტელეარხ „არტის“ გადაცემაში განაცხადა.

ჟურნალისტმა სააკაშვილს ჰკითხა: „ლვოვში ძვირადღირებულ სასტუმროში ცხოვრობთ, უკრაინის მასშტაბით მოგზაურობთ, პოლიტიკური პარტია გაქვთ. რა თანხებით ახერხებთ ამას?“

– პირველი, ამჟამად არც უკრაინის მოქალაქე არ ვარ; მეორე – მოკრძალებულად



და ნორმალურად ვცხოვრობ და მესამე – არ მაქვს არავითარი უკანონო შემოსავალი. არასდროს არ მქონია არცერთ ბიზნესი, არც ერთ ჩემს ნათესავს ბიზნესი არასდროს არ ქონია და არ აქვს. ჩემი ოჯახის წევრებს კარგი ხელფასი აქვთ, ბებიაჩემი მუშაობს, დედაჩემი მუშაობს, მეუღლე მუშაობს, მეც ვმუშაობდი, თქვენი კოლეგა ვიყავი ტელევიზიაში. ერთ ლექციაში შემიძლია მივიღო იმდენი, რამდენსაც ისინი ლეგალურად არც იღებენ. თავის გატანის პრობლემა არ მაქვს. ფუფუნებაში არ ვცხოვრობ და არასდროს მივისწრაფვოდი ფუფუნებისკენ, – განმარტა სააკაშვილმა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „მოსამართლე ივანე ღლონტს ჩვენს სასამართლოზე ეძინა“

## „ეს არჩევნები ახალქალაქში, მარნეულსა და ვაკეში ერთნაირად გაყალბდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

***– ბატონო კახა, ოპოზიციის დიდი ნაწილი არჩევნების შედეგებს, ცესკოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებს. რამდენად გაქვთ სასამართლოს ობიექტურობის იმედი?***

– რა თქმა უნდა, არა გვაქვს! ჩვენ არ გვავიწყდება, რომ სასამართლო სისტემის სათავეში დგას ლევან მურუსიძე და, ბუნებრივია, მისი ობიექტურობის იმედი არა გვაქვს.

***– მაშინ რატომ მიმართეთ სასამართლოს?***

– აქ, უბრალოდ, აუცილებელია შიდა სასამართლო ინსტანციების ამოწურვა, რომ გავაგრძელოთ ევროპულ სასამართლოში ბრძოლა, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ სასამართლომ ხელისუფლებას უკვე გააწნა ერთი სილა რუსთავი 2-ის საქმეზე, გარდა ამისა, აქვს ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, იმიტომ, რომ ჩვენ ახლა რა ეტაპზეც ვართ, ამ ეტაპს ჰქვია ივანიშვილის კრიმინალური რეჟიმის დელეგიტიმაცია და საერთაშორისო იზოლაცია.

***– ფიქრობთ, რომ ეს შედეგს გამოიღებს?***

– დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რაც შეიძლება ბევრმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მისცეს სწორი შეფასება, თუ რა ტიპის არჩევნები ჩატარდა საქართველოში და ამ ყველაფერთან დაკავშირებით დაისვას ივანიშვილის რეჟიმის პასუხისმგებლობის საკითხი. ამ ეტაპზე სწორედ ამით ვართ დაკავებული. შიდა სასამართლო პროცედურები იძლევა ძალიან ბევრ ხელმოსაჭიდს, რომ მერე გაგრძელდეს დავა ევროპულ სასამართლოში.

***– ხელმოსაჭიდს რა თვალსაზრისით?***

– მაგალითად, მოსამართლე ივანე ღლონტს ეძინა სასამართლო პროცესზე. ეს სტრასბურის სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი გარემოება იქნება და კარგად აჩვენებს იმ დამოკიდებულებას, რომელიც აქვს მართლმსაჯულების სისტემას საარჩევნო დავების მიმართ, ანუ ხდება არა რეალური განხილვა საარჩევნო დავების, არამედ ფორმალობაა: მიიღეს, უარი თქვეს, მიიღეს, უარი თქვეს და ასე.

***– თქვენ ეს დღეები სულ სასამართლოში ხართ. რომელიმე საქმეზე თუ გამოვიდა დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება?***

– რა თქმა უნდა, არა! ჩვენ ვცხოვრობთ ისევ იმ დროში, რომელშიც ვცხოვრობდით წინა ხელისუფლების დროს. ყველა საქმეზე მიღებულია გადაწყვეტილება მმართველი პარტიის სასარგებლოდ და ოპოზიციის წინააღმდეგ.

***– ყველაზე მეტი დარღვევა სად იყო, რომელი ოლქის შედეგები გაასაჩივრეთ?***

– ამ არჩევნების დამახასიათებელი სპეციფიკა არის ის, რომ ყველა ოლქში იყო დარღვევა. თქვენი შეკითხვის კონტექსტი სწორია, იმიტომ რომ, როგორც წესი, წინა არჩევნებზე და საერთოდ 90-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, არჩევნების გაყალბება ხდებოდა ასეთი სქემით, რომ თბილისში, ქუთაისში, დიდ ქალაქებში, იმ რაიონებში, სადაც ოპოზიცია აქტიურია და საერთაშორისო ორგანიზაციები და მედია აკვირდება არჩევნებს, მნიშვნელოვანი დარღვევები არ ხდებოდა და არჩევნები ყალბდებოდა მხოლოდ ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მაღალმთიან რაიონებსა და პერიფერიებში.

***– ახლა ყველგან გაყალბდა?***

– ამ არჩევნებით ჩვენ დავბრუნდით 1995 წელში, როდესაც პირდაპირ მხედრიონი ატარება არჩევნებს და როდესაც არჩევნები თანაბრად ყალბდებოდა დიდ ქალაქებშიც და პატარა სოფლებშიც. ეს არჩევნები ახალქალაქში, მარნეულსა და ვაკეში ერთნაირად გაყალბდა. ჩემს საარჩევნო უბანზე, ვაკეში, ჩემი ოჯახის ოთხმა წევრმა მივეცით ხმა და საარჩევნო ოქმში სამი ხმა დამიწერეს. ეს მოხდა შუაგულ ვაკეში.

***– ოპოზიცია სერიოზულ გაყალბებაზე საუბრობს, თუმცა საზოგადოებისთვის ეს ვერ გახდა ის თემა, რომ მას პროტესტი გასჩენოდა ქუჩაში გამოსასვლელად. ელოდებით საპროტესტო მუხტს უახლოეს პერიოდში?***

– დღეს ვართ იმ ეტაპზე, რომელიც იყო 2004 წლიდან 2007 წლამდე საქართველოში, როდესაც ხალხი ნელ-ნელა აცნობიერებდა, თუ რას წარმოადგენდა სააკაშვილის რეჟიმი, ნელ-ნელა ხდებოდა სააკაშვილის რეჟიმის დელეგიტიმაცია და ბოლოს დადგა მომენტი, როდესაც ხალხი მასობრივად გამოვიდა ქუჩაში. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ხალხი ერთ წუთსა და ერთ წამში ქუჩაში არ გამოდის. ამიტომაც ის საქმე, რომელსაც ახლა ჩვენ ვაკეთებთ, ძალიან მნიშვნელოვანია.

***– საერთაშორისო აზრის შექმნას გულისხმობთ?***

– საერთაშორისოსაც და ქვეყნის შიგნითაც. ქართველი ხალხი და საერთაშორისო საზოგადოება – ორივე კონსერვატიული სქემის მიმდევარია, რთულად იღებს გადაწყვეტილებებს.



აუცილებელია, ასჯერ ან ათასჯერ გაუმეორო ქართველ ხალხსაც და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, რომ ივანიშვილი არის კრიმინალი. უნდა წარუდგინო 5 ათასი სხვადასხვა მტკიცებულება და ამის შემდეგ ყალიბდება სწორი მოსაზრება. მიხეილ სააკაშვილის პერიოდშიც დიდი სამუშაო ჩაატარა ოპოზიციამ, სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომელსაც ჰქონდა დემოკრატიის შუქურის იმიჯი, რამდენიმე წელიწადში მიიღო სისხლიანი რეჟიმის შეფასება. ამაში ჩვენი დიდი შრომა იყო ჩადებული.

# „მეგის ქარდავას უკრაინა საქართველოს აუცილებლად გადმოსცემს“

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ ვახტანგ მაისაიასთან

## ვახტანგ მაისაია: „მერაბიშვილს სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს“



***– ბატონო ვახტანგ, სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმის მთავარი ჯალათი მეგის ქარდავა დაპატიმრებულია. მეგის ქარდავას დაკავებას როგორ შეხვდით?***

– მე ვიყავი კიევში, უკრაინის ყველაზე გავლენიან ტელეარხ „პრიამის“ პირდაპირ ეთერში, როცა გაჩნდა ელვაინფორმაცია. ჩვენ ვსაუბრობდით საგარეო ურთიერთობებზე და წამყვანმა თქვა, ახლა ჩვენ მივიღეთ ელვაინფორმაცია, მეგის ქარდავა დააპატიმრესო და იქვე წავიკითხე ლექცია მეგის ქარდავას თაობაზე. წამყვანმა მკითხა და მეც ვუთხარი, მეგის ქარდავა ვინ იყო, რა დანაშაულები ჰქონდა ჩადენილი, ვთქვი, რომ ეს იქნებოდა ყველა მაღალი დონის ხელმძღვანელისთვის დარტყმა, მათ შორის მიხეილ სააკაშვილისთვისაც. მეორე დღეს მიხეილ სააკაშვილს დაუსვეს კითხვა, იცნობდა თუ არა მეგის ქარდავას. ისინი კითხვას მისვამდნენ უკრაინულად, მე რუსულად ვპასუხობდი. ისიც აღნიშნეს, რომ მიხეილ სააკაშვილი არ ლაპარაკობდა უკრაინულად.

***– თქვენ უკრაინული იცით?***

– დიდი ხანია უკრაინულად არ მილაპარაკია. იმდენად არ ვიცი, რომ პოლიტიკურ თემაზე უკრაინულად მელაპარაკა, მაგრამ საურთიერთობო უკრაინული ვიცი. უკრაინულად წერა ვიცი.

***– უკრაინული რატომ ისწავლეთ?***

– 1996-99 წლებში უკრაინაში დავდიოდი. საერთო პროექტი გვქონდა. სამი წელი დავდიოდით და 3-4 თვე ლვოვში, კიევსა და სევასტოპოლში ვიმყოფებოდით.

***– მოელოდით თუ არა ისეთი დონის დამნაშავისა და ძებნილის დაპატიმრებას, როგორიც მეგის ქარდავაა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ის დაუსწრებლად გასამართლებული და მსჯავრდებულია?***

– მოლოდინი არსებობდა, რადგან მანამდე სააკაშვილის რამდენიმე მომხრე და თანამებრძოლი გამოაძევეს უკრაინიდან, რომლებსაც დარღვეული ჰქონდათ უკრაინის კანონმდებლობა და დეპორტაცია გაუკეთეს. როგორც უკრაინელი სამართალდამცავები ამბობენ, მეგის ქარდავას აღმოუჩინეს სამი სხვადასხვა პასპორტი, ცეცხლსასროლი იარაღი. ისეთ მომენტებს ჰქონდა ადგილი, რომ მეგის ქარდავას საქართველოს აუცილებლად გადმოსცემენ, რადგან უკრაინის კანონმდებლობითაც ქარდავას სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი.

***– რა მოუყევით უკრაინის მოსახლეობას ტელეეთერიდან მეგის ქარდავას შესახებ?***

– უკრაინელი ჟურნალისტები, საზოგადოებაც არ იყვნენ გარკვეულნი მეგის ქარდავას დანაშაულებში. ამიტომ პოლკოვნიკ თეთრაძის წამებით მკვლელობისა და სხვა დანაშაულების გამო, რაც ქარდავამ ჩაიდინა, ისინი შოკირებული იყვნენ, რადგან დღეს უკრაინა ჩართულია ომში და მათთვის თეთრაძის მკვლელობა აღმაშფოთებელი გარემოება იყო, რადგან ქარდავამ აწამა ის პიროვნება, რომელიც რუსეთთან ომის დროს საქართველოს მთავრობის სპეციალურ დავალებას ასრულებდა. ასეთი ადამიანი მოკლულ იქნა იმ ნაძირალას მიერ. უკრაინელებმა კარგად იციან, რას ნიშნავს ასეთი დანაშაულის სიმძიმე. როგორც ჩანს, უკრაინის პროკურატურამ ეს ფაქტორიც გაითვალისწინა, ყველა ვარიანტში გაითვალისწინებს და ქარდავას საქართველოს გადმოსცემს.

ფაქტობრივად, ქარდავა ასრულებდა სააკაშვილის დავალებას. ადამიანს, რომელიც იყო ომის გმირი, ომის დროს ასრულებდა მისთვის მიცემულ დავალებას, აპატიმრებენ და კლავენ, ეს რუსეთის დავალებად იქნა აღქმული, რადგან კარგად ხედავენ, რუსეთის სპეცსამსახურებს უკრაინაში რა პოტენციალი გააჩნიათ, რომ ჩაატარონ დივერსიები ქვეყანაში.

***– თქვენ პირადად თუ გქონდათ შეხება მეგის ქარდავასთან? თქვენი პატიმრობის პერიოდში თქვენ მიმართაც ხომ ჰქონდა წამებას ადგილი?***

– ჩემ მიმართ მუშაობდა კონტრდაზვერვის დეპარტამენტი. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ვანო მერაბიშვილის დავალებით მოქმედებდა. ისინი არიან პასუხისმგებელი ჩემ მიმართ განხორციელებულ რეპრესიებსა და ციხეში წამებაზე.

***– სააკაშვილმა განაცხადა, მეგის ქარდავას არ ვიცნობო, მიუხედავად იმისა, რომ ქარდავა ორჯერ ორდენით ჰყავს დაჯილდოებული.***

– მეგის ქარდავა არ იყო რიგითი თანამშრომელი. ის იყო სამხედრო პოლიციის შეფი და, როგორც შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, სააკაშვილი მეგის ქარდავას ყველა ვარიანტში იცნობდა, რადგან ის იკავებდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს სისტემაში. ის იყო მესამე-მეოთხე რიგის მაღალი თანამდებობის პირი.

***– სააკაშვილისთვის მეგის ქარდავას დაპატიმრება რას ნიშნავს?***

– მეგის ქარდავა უკრაინაში იმალებოდა. ეჭვი არ მეპარება, რომ ქარდავას სააკაშვილის უახლოესი გარემოცვა მალავდა. თვითონ სააკაშვილი გაკოტრებული პოლიტიკოსია. მას უკრაინაში აღარავინ არაფერს ეკითხება. მისი აქციაც არის ბუტაფორია, სადაც ისეთი ადამიანები იკრიბებიან, რომლებსაც არანაირი გავლენა არ აქვთ მოსახლეობაში. სააკაშვილი იმ ადგილიდან არ გადის, მას გადაადგილების ეშინია. სააკაშვილს ჰყავს მცირე ჯგუფი ფანატიკოსი მომხრეებისა, რომლებიც შეიძლება მის გამო წყალშიც გადაცვივდნენ, მაგრამ ისინი გავლენას ვერ ახდენენ.

***– ქარდავას დაპატიმრების შემდეგ სააკაშვილმა დაიწყო საქართველოში მის შესაძლო ექსტრადირებაზე საუბარი.***

– სააკაშვილის ექსტრადირებაზე ქარდავას დაპატიმრებამდეც საუბრობდნენ. უკრაინაში აქტიურად განიხილებოდა სამი საკითხი – ავაკოვის შვილის დაპატიმრება, ერთ-ერთი მილიარდერის, სახელმწიფო ჩინოვნიკის, რომელიც ჩამოვიდა ქვეყანაში და სააკაშვილისა და ქარდავას თემა. ჟურნალისტებმა კითხვები დასვეს, რატომ პასიურობდა საქართველოს პროკურატურა, რომ უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა სააკაშვილის გადმოცემაზე, ვფიქრობ, ახლა სამართლებრივი საკითხები უფრო მაღლა დადგება, ვიდრე პოლიტიკური.

***– მგონი, თანდათან სააკაშვილის გასამართლების დრო ახლოვდება.***

– რა თქმა უნდა. სააკაშვილს უკრაინის საზღვრის გადმოლახვაზე დაედო მსჯავრი, მიუხედავად იმისა, რომ ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, მან თანხა გადაიხადა. უკრაინის საემიგრაციო სამსახურმა უარი განაცხადა სააკაშვილისთვის თავშესაფრის მიცემაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომაც ძალაში დატოვა. ამიტომ სააკაშვილი იმ ტერიტორიიდან არ გადის, სადაც კარავი აქვს გაშლილი.

***– სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმა უკრაინას ავნეს?***

– ავნეს, რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, ყველაზე რთულ დროს, რაც უკრაინას უდგას, რუსეთთან ომის პირობებში, როცა რუსეთის სპეცსამსახურები კიევში ახორციელებენ ტერაქტებს, ამ ფონზე საპროტესტო აქციის მოწყობა, კიევში კარავის გაშლა და პოროშენკოს წინააღმდეგ გამოსვლა, სულ მცირე, რუსეთის ინტერესების გატარებაა. მეორეც – მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში, ოდესის გუბერნატორობისას იგივე გააკეთა, რაც საქართველოში.

***– რა გააკეთა?***

– თავის ამფსონებს უშვებდა მომგებიან თანამდებობებზე. მან განახორციელა კორუფციული სქემები და იღებდა დიდ ფულს, რის გამოც პოროშენკო იძულებული გახდა, თანამდებობიდან გადაეყენებინა. სააკაშვილის პოლიტიკა უკვე ატარებს დესტრუქციულ ხასიათს.

***– ამ დროს სააკაშვილი გამუდმებით საუბრობს უკრაინაში არსებულ ელიტურ კორუფციაზე. ამაზე უკრაინის მოსახლეობა რა აზრის არის?***

– უკრაინის მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოში სუფევდა ელიტური კორუფცია. მე პირდაპირ ეთერში დავსვი კითხვა, ჟურნალისტებს მიხეილ სააკაშვილისთვის დაესვათ კითხვა, რით იყიდა ამერიკაში, მანჰეტენზე ძვირადღირებული ბინა, რით იყიდა კიევში, პრესტიჟულ ადგილზე ძვირადღირებული მრავალმილიონიანი ბინა (მე თვითონ ვნახე, სადაც აქვს ბინა). რატომ დადიოდა თავისუფლად და ვის ფულს ხარჯავდა, როცა ის თავისუფლად მოგზაურობდა. ეს კითხვები ჟურნალისტებმა მეორე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ქართული მარში ტრამპის მხარდასაჭერად აშშ-ის საელჩოსთან აქციას გამართავს

შორენა მარსაგიშვილი

ვინ ელოდა ზვიად სიჭინავას რუხის ხიდზე, რა კავშირი აქვთ ევროპულ ნეონაცისტებთან, რატომ შეუყვარდათ დონალდ ტრამპი და ვისგან იცავენ მას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

***– ქართული მარშის წევრები ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ პირდაპირ ეთერში მიგიპატიჟათ სოხუმის ასაღებად. ის 4 ნოემბერს რუხის ხიდზე გელოდათ. მასთან ჩასვლის ნაცვლად თქვენ რუსთავი 2-ს მიუცვივდით.***

– როგორ შეიძლება, სიჭინავაზე ადამიანმა სერიოზულად ილაპარაკოს? ეს ადამიანი რომის პაპსა და რომის პაპას ვერ არჩევს ერთმანეთისგან. მეტსაც გეტყვით, მას ივო შუშაკი და შუშანიკი ერთი ადამიანი ჰგონია. ვისაც მისი განცხადებები მოუსმენია, მის შეთავაზებას სერიოზულად არ მიიღებდა. ჩვენ მისი გამოწვევა მივიღეთ და 4 ნოემბერს, 4 საათზე, რუხის ხიდზე ვიყავით. ბატონი სიჭინავა რატომღაც არ გამოჩენილა. არადა, მან მოგვიწოდა, თუ გული გერჩით, მოდით და ერთად ავიღოთ სოხუმიო.

***– შეგიძლიათ მათი ვინაობის დასახელება, ვინც სიჭინავას 4 ნოემბერს, 4 საათზე, ენგურის რუხის ხიდზე ელოდა?***

– ეს ადამიანები არიან ზვიად გამსახურდიას გვარდიის წევრები. ისინი დღეს ქართული მარშის წევრები არიან. მათ ვინაობას მხოლოდ იმიტომ არ ვასახელებ, რომ არ მინდა, რამე პრობლემა შევუქმნა. ამ ბიჭებმა ხიდზე გადაიღეს სურათი და მზად ვარ, ეს ფოტო სიჭინავას ჩავუგდო.

სიჭინავა არის სამარცხვინო პოპულისტი. გმირობის თამაში დაიწყო და, როცა საქმე საქმეზე მიდგა, დაიმალა.

***– და ამის გამო გადაწყვიტეთ აშშ-ის პრეზიდენტის მხარდაჭერა? ან რაში სჭირდება დონალდ ტრამპს ქართული მარშის მხარდაჭერა?***

– ბოლო დროს სოროსის დაკვეთით აშშ-ის პრეზიდენტზე ქართულ მედიაში საზიზღრობებს ლაპარაკობენ. მისი მხარდაჭერა სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ.

***– თქვენგან ცოტა გამიკვირდა, აშშ-ის პრეზიდენტის მხარდამჭერ აქციას რომ აწყობთ. როცა მინისტრის მოადგილეობიდან წამოხვედით, თქვენი გარემოცვა ამბობდა, აშშ-ის ელჩი დაჟინებით სთხოვდა მაშინდელ პრემიერ ღარიბაშვილს ბრეგაძის მოხსნასო.***



**სანდრო ბრეგაძე: „ამერიკის პრეზიდენტი არ გვაფინანსებს, მაგრამ მის ადმინისტრაციასთან კავშირი გვაქვს“**

– ამ ამბავში ამერიკის ელჩი არ იყო ჩართული, თან, ჩართული რომც ყოფილიყო, ტრამპი ამასთან არაფერ შუაშია. ის მაშინ აშშ-ის პრეზიდენტი არ ყოფილა. ჩემს გადაყენებას დაჟინებით ითხოვდა თავდაცვის მაშინდელი მინისტრი თინა ხიდაშელი. ის სოროსის მონა გახლავთ.

ამერიკის პრეზიდენტის მხარდამჭერი აქციის მოწყობა 5 ნოემბერს ეკა კვესიტაძის გადაცემის შემდეგ გადავწყვიტეთ. ამ გადაცემაში დაუფარავად ლანძღავდნენ აშშ-ის პრეზიდენტს.

ამ გადაცემის სტუმრებმა და მასპინძლებმა ბატონი დონალდი ადოლფ ჰიტლერის კონტექსტში მოიხსენიეს და მას ფაშისტობა დასდეს ბრალად. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ბრალდება ის იყო, რომ ტრამპი პრეზიდენტი რუსეთის ჩარევითა და რუსული ფულით გახდა. ეს აშშ-ის პრეზიდენტის გაუგონარ დისკრედიტაციას წარმოადგენს.

იქვე ირონიულად ამბობდნენ, რას მოგვიტანს ტრამპის პრეზიდენტობა, ეს მალე გამოჩნდებაო. სოროსის მიერ დაფინანსებულები ისე გათავხედდნენ, რომ მარტო ქართულ მარშს კი არა, დონალდ ტრამპსაც უპირისპირდებიან. სოროსულმა მედიამ აშშ-ის პრეზიდენტი დაბლოკა.

***– რანაირად დაბლოკა?***

– მის გამოსვლებსა და განცხადებებს სოროსულ-ქართული მედია საერთოდ არ აშუქებს. ცოტა ხნის წინ ტრამპმა თეთრ სახლში ბიბლიის შემსწავლელი კურსები გახსნა და არც ეს გააშუქეს. აშკარაა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დაბლოკილია.

***– ამის გამო ტრამპი, სავარაუდოდ, არ ინერვიულებს.***

– მეც არა მგონია, რომ ტრამპმა ამაზე ინერვიულოს, მაგრამ მაინც უხერხულია ასეთი დამოკიდებულება. ჩვენ ამერიკის საელჩოსთან იმიტომ მივდივართ, რომ ლიბერასტების ბრალდებების გამო უკაცრავად მაინც ვუთხრათ აშშ-ის პრეზიდენტს.

მეორე მიზეზი, რისთვისაც აშშ-ის საელჩოსთან მივდივართ, არის ის, რომ გვინდა, ტრამპს მხარდაჭერა გამოვუცხადოთ. ჩვენ მხარდაჭერას ვუცხადებთ მის პოლიტიკას. მისი მოსვლის შემდეგ მთელ მსოფლიოში შეიცვალა პოლიტიკური სურათი.

***– პოლიტიკური სურათის შეცვლაში რას გულისხმობთ?***

– ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ეროვნული, პატრიოსანი და მორწმუნე ძალები საკმაოდ დიდ წარმატებებს აღწევენ როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში. ამის ნათელი მაგალითი ავსტრიაში ნაციონალისტური პარტიის გამარჯვებაა. ეს დიდი მიღწევაა და თუნდაც ამიტომ უნდა ვუთხრათ ტრამპს მადლობა და ქართველი ლიბერასტების გამო ბოდიში მოვუხადოთ.

***– ამ აქციის შემდეგ აუცილებლად იტყვის ვიღაცა, რომ ქართულ მარშს დონალდ ტრამპი აფინანსებს.***

– დარწმუნებული ვარ, ასეთი ჭორი აუცილებლად აგორდება. ჩვენში ბევრს ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება ადამიანს უანგაროდ დაუჭირო მხარი. ეს ხალხი მინდა დავამშვიდო და ვუთხრა, რომ დონალდ ტრამპი ნამდვილად არ გვაფინანსებს.

ჩვენი დაფინანსების თემა ძალიან აქტუალური გახდა. ზოგი ამბობს, რომ რუსეთიდან ვფინანსდებით, ზოგი ამტკიცებს, რომ ევროპელი ნეონაცისტები გვაფინანსებენ. არავინ გვაფინანსებს, არც რუსეთი და არც ტრამპი.

ტრამპი არ გვაფინანსებს, მაგრამ მის ადმინისტრაციასთან და მხარდამჭერებთან გვაქვს კავშირი. ამ დღეებში ჩვენზე ამერიკულმა მედიამ არაერთი მასალა მოამზადა. ქართულ მარშზე მომზადებული მასალა ტრამპის მხარდამჭერების ფეისბუქგვერდზე იქნა გაზიარებული.

ქართულ მარშს აქტიური მიმოწერა გვაქვს მარი ლე პენის პარტიასთან. ჩვენ ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ იმ ევროპულ პარტიებთან, რომლებიც ეროვნულ ღირებულებებს სცემენ პატივს. ასეთი ძალები დასავლეთში სულ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობენ. დარწმუნებული ვარ, საქართველოშიც ასე იქნება.

ძალიან სამწუხაროა რომ რამდენიმე მედიასაშუალებამ ბოიკოტი გამოგვიცხადა. არა უშავს, ჩვენს აქტივობას დასავლური მედია გააშუქებს. ჩვენ კიდევ ბევრი საინტერესო და ხმაურიანი აქციის მოწყობას ვაპირებთ და ის ხალხი არ დავინახო ჩვენს ღონისძიებებზე, რომლებიც ქართული მარშის ბოიკოტირების იდეით გამოვიდნენ.



**„მინისტრის მოადგილეობიდან ჩემს გადაყენებას სოროსის მონა თინა ხიდაშელი ითხოვდა“**

***– ისევ აშშ-ის პრეზიდენტის მხარდამჭერ აქციას დავუბრუნდეთ. როდის აპირებთ აშშ-ის საელჩოსთან მისვლას?***

– აქციას, სავარაუდოდ, ამ კვირაში გავმართავთ. თარიღს ხვალ ან ზეგ დავასახელებთ.

***– ამ კვირაში ქართული მარში ფეხბურთის ფედერაციასთანაც აპირებდა აქციის მოწყობას. პირობა ისევ ძალაშია?***

– რა თქმა უნდა. ფეხბურთის ფედერაცია ასე მოქცევას იმსახურებს. მისი მოქმედი პრეზიდენტი ზვიად სიჭინავაზე უკეთესი ფეხბურთელი იყო, მაგრამ, როგორც ჩინოვნიკი, არც ლევან კობიაშვილი უქნია ღმერთს. მისი ფედერაციის პრეზიდენტობისას ეროვნულ ნაკრებს არცერთი ოფიციალური შეხვედრა არ მოუგია.

ამ წარუმატებელი სერიის გამო კობიაშვილსა და ნაკრების წევრებს ქართველი ხალხისთვის ბოდიში უნდა მოეხადათ. ამის ნაცვლად რაღაც სისულელეებითა და გეიპროპაგანდით არიან დაკავებული. ისინი ამაზე აუცილებლად მიიღებენ პასუხს. 10 ნოემბერს ძალიან საინტერესო მოვლენის მომსწრეები გახდებით.

***– რა ხდება 10 ნოემბერს?***

– მაგას 10 ნოემბერს გაიგებთ. მაგ დღეს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩს ატარებს. შეხვედრა გორში გაიმართება, სადაც გაეცემა ამათ თავხედობას პასუხი. ამ პასუხს საქართველოსთან ერთად მთელი მსოფლიო ნახავს.

# დიმიტრი მედოევი: „ოსების გენოციდის აღიარებისთვის უნდა ვიბრძოლოთ“

შორენა მარსაგიშვილი

სანამ საქართველოს ხელისუფლება იმას ამტკიცებს, რომ ლარი ფეისბუქ-სტატუსებმა გააუფასურა, ოკუპირებული რეგიონები საერთაშორისო ასპარეზზე უკვე სერიოზულად იკიდებენ ფეხს.

რამდენიმე წარმომადგენლობის გახსნის შემდეგ ცხინვალის მარიონეტული მთავრობა აპირებს, ქართველთა მიერ ოსების გენოციდის აღიარებისთვის დაიწყოს ბრძოლა.

ამის შესახებ ინფორმაცია ოკუპირებული რეგიონის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევმა გააჟღერა. ჩვენი ხელისუფლების უნიათობის წყალობით ამ უკანასკნელმა ლამის მთელი ევროპა მოიარა და, სადაც ყავის დასალევად გაჩერდა, ლამის ყველგან სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა გახსნა.

ახლა ამ წარმომადგენლობებისა და რუსეთის დახმარებით დაიწყება იმაზე საუბარი, რომ ქართველებმა ოსებს გენოციდი მოუწყვეს.

მედოევი ისე შორს წავიდა, რომ მზადაა, ქართველებს დაახლოებით ერთი საუკუნის წინ ჩადენილის გამო მოსთხოვოს პასუხი.

– ოსი ხალხი არაერთხელ გახდა გენოციდის მსხვერპლი. საჭიროა ფილმების გადაღება, წიგნების დაწერა, რათა ყველამ გაიგოს, რა ხდებოდა. ბევრმა, მათ შორის ევროპაშიც, არ იცის ეს.

ამ საშინელებაზე გაზეთებში არაფერს წერენ. საბჭოთა პერიოდის დროს ოსი ხალხის ტრაგედიის შესახებ აკრძალული იყო საუბარი. თუმცა ჩვენი ხალხის მეხსიერებაში 1920 წლის გენოციდი მუდამ განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. მაშინ დაახლოებით 40.000 მცხოვრები



განდევნეს სამხრეთ ოსეთიდან, 5.000-ზე მეტი მოკლეს. პრაქტიკულად, მთელი ოსეთი ქართველი ნაციონალისტების მიერ იყო გადამწვარი. სამწუხაროდ, ისტორია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც განმეორდა. თუმცა, ჩვენი ხალხის მამაცობისა და რუსეთის დახმარების წყალობით, რესპუბლიკა გადარჩა და დამოუკიდებლობის აღიარება მოიპოვა, – აცხადებს ოკუპირებული რეგიონის დიპლომატიის მამა.

მისი თქმით, ამ საკითხზე სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის ქვეყნებთან.

მედოევი დარწმუნებულია, რომ მათი აქტივობა დასავლეთის დაინტერესებას გამოიწვევს.

– იმ შემთხვევაში, თუ მათ დავაინტერესებთ, ისინი დაიწყებენ ჩვენზე ინფორმაციის მოძიებას და ისე უნდა გავაკეთოთ, რომ მათ სამხრეთ ისეთის შესახებ საჭირო რაოდენობის მიუკერძოებელი ინფორმაცია მიიღონ, – იმედოვნებს მედოევი.

ჩვენი ხელისუფლების უუნარობას თუ გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, ცხინვალმა მართლაც დააინტერესოს ევროპა, ერთ მშვენიერ დღეს კი შეიძლება გენოციდშიც დაგვადანაშაულონ.

# „მეგის ქარდავას უკრაინა საქართველოს აუცილებლად გადმოსცემს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დღეს სააკაშვილს დაუსვეს, რა საშუალებებით ცხოვრობთ. სააკაშვილმა იმდენად უსუსური პასუხი გასცა, რომ უკრაინის საზოგადოებაში მასზე იცინიან.

***– ბებიაჩემი მუშაობს და მარჩენსო.***

– დიახ, სააკაშვილის პასუხი სკეტჩების გაკეთების საფუძველი გახდა.

***– პოლონეთსა და უნგრეთთან პრობლემებისა და რუსეთთან ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის სააკაშვილის ქმედებები რას ნიშნავს?***

– ამაზე უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ პირდაპირ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი ინსტრუქციებს იღებს რუსეთიდან. ის აპირებს სახელმწიფო გადატრიალებას და რუსეთიდან იმართება. ფაქტობრივად, პროკურორმა რუსეთი დაადანაშაულა სააკაშვილის მართვაში.

***– ტიმოშენკო კვლავ უჭერს მხარს?***

– ტიმოშენკო სააკაშვილს განუდგა. მათ შორის მოხდა მორიგი დაპირისპირება და, შესაბამისად, ტიმოშენკომ უარი განაცხადა სააკაშვილის მხარდაჭერაზე. მე ვიყავი იქ, სადაც სააკაშვილს კარავი აქვს. იქ იყო 50-70 კაცი. ისინიც იქ იმიტომ არიან, რომ სააკაშვილი მათ უფასო საჭმელს ურიგებს.

***– რით ურიგებს უფასო საჭმელს?***

– მე დავსვი კითხვა, ვინ აფინანსებს მიხეილ სააკაშვილს და რით აძლევს ყოველდღე თავის მომხრეებს უფასო საჭმელს. მერე უკრაინელმა ჟურნალისტებმაც დაუსვეს კითხვა და სააკაშვილმა მათ სასაცილო პასუხი გასცა.

***– ქარდავას დაპატიმრების პარალელურად, საქართველოში საუბარი დაიწყო მერაბიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე, მით უმეტეს, რომ მისი საქმის განხილვამდე ნახევარი წელია დარჩენილი. ამ ორ ფაქტს შორის რაიმე კავშირი ხომ არ არის?***

– ეს მორიგი საინფორმაციო ომის ხრიკია, რაც დაკავშირებულია მერაბიშვილის ინტერესებთან.

***– თქვენ როგორ შეხვდებით მერაბიშვილის გათავისუფლებას?***

– ამ ორ საკითხს შორის დიდი ბმაა. მერაბიშვილის საქმის განხილვამდე ჯერ დიდი დროა. მას ხანგრძლივი პატიმრობა ეკუთვნის. მერაბიშვილი სააკაშვილის სასტიკი რეჟიმის სულისჩამდგმელია და მას სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს.

# „იგეგმებოდა მეუფე დიმიტრის დაკავება“

შორენა მარსაგიშვილი




მცირე პაუზის შემდეგ ციანიდის საქმე კვლავ აქტუალური გახდა. პატიმრობაში მყოფმა დეკანოზმა გიორგი მამალაძემ მეუფე დიმიტრისთან შეხვედრის დეტალებზე მედიასთან ისაუბრა. შაბათის კურიერისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ დაგეგმილი იყო ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის დაკავება.

მეუფე დიმიტრისთან შეხვედრის დეტალებს დეკანოზი ბოლომდე არ ყვება. ამ დეტალების გამხელისგან თავის დროზე თავი მიტროპოლიტმაც შეიკავა. პატიმრობაში მყოფი დეკანოზი ამბობს, რომ დიმიტრი შიოლაშვილს ისეთ თემებზე ესაუბრა, მეუფემ ციანიდის საქმეს შეთქმულება უწოდა.

მამა გიორგიმ, როგორც თავად ამბობს, ბევრი საინტერესო დეტალის შესახებ იცის, მაგრამ საჯაროდ ამაზე საუბარს ერიდება. შაბათის კურიერთან ინტერვიუში განმარტავს, რომ მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ყველა დეტალზე ხმამაღლა ვერ ისაუბრებს.

– ის დაჭრილი და დაჩეხილი კადრები, რომლებიც პროკურატურამ გაავრცელა, ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების უმეტესობას სჯერა, ეს აბსურდია, გარკვეული კითხვები ჰქონდა მეუფეს. არსებულ კითხვებზე მიღებული პასუხებისა და არსებული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ მან გააკეთა ის განცხადება, რომელიც საჯაროდ ცნობილია, რომ რასაც მე ვამტკიცებდი, რომ ეს იყო შეთქმულება არა მარტო მის, არამედ ეკლესიის წინააღმდეგ, – განაცხადა მამა გიორგი მამალაძემ.

დეკანოზმა მასზე განხორციელებულ ზეწოლებზეც ისაუბრა, გაიხსენა, როგორ ითხოვდნენ მისგან სასურველი ჩვენების მიცემას.

მისმა ადვოკატებმა რამდენიმე თვის წინ განაცხადეს, რომ მამაოსგან სოსო ოხანაშვილისა და მეუფე დიმიტრის წინააღმდეგ ითხოვდნენ ჩვენების მიცემას. ამის შესახებ დეკანოზმა სასამართლოზეც ისაუბრა.

როგორც მისი საუბრიდან ირკვევა, ასეთი ჩვენების მიცემას მისგან მარტო პროკურატურის წარმომადგენლები არ ითხოვდნენ.

– იყო ზეწოლები ფარულიც და ღიაც. ხშირ შემთხვევაში არ მიყვარს კონკრეტული ადამიანების სახელების დასახელება საჯაროდ, მაგრამ ცნობილია სხვადასხვა ტელეკომპანიაში რიგი სასულიერო პირებისგან, მაღალი იერარქებიც გამოვიდნენ, რომლებიც ჩემგან აღიარებას ითხოვდნენ იმისას, რაც არ არსებობს რეალობაში. ითხოვდნენ კონკრეტულად მეუფე დიმიტრისა და სოსო ოხანაშვილის თანამონაწილეობას, რაც აბსურდია.

ჩემგან ითხოვდნენ მეთქვა, რომ პატრიარქის ლიკვიდაციას მისივე ძმისშვილი, მეუფე დიმიტრი, გეგმავდა და ამ სქემაში მისი თანამონაწილე იყო ილია II-ის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სოსო ოხანაშვილი, – აღნიშნავს დეკანოზი.

მისი თქმით, მისგან ასეთი აღიარება რომ ვერ მიიღეს, ამის შემდეგღა დასდეს ბრალად შორენა თეთრუაშვილის მოკვდინების მცდელობა. ამბობს, რომ ამ სპექტაკლის მიზანი მეუფე დიმიტრის დაკავება იყო.

– აღიარება რომ ვერ მიიღეს, ჩემი მოსაზრებით, დამსაჯეს და ბრალი წამიყენეს შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებაში, თორემ მათ ჰქონდათ განზრახული, ეს შეთითხნილი საქმე ყოფილიყო კონკრეტულად პატრიარქის წინააღმდეგ, რომელშიც უნდოდათ, ორგანიზატორებად დაესახელებინათ მეუფე დიმიტრი და სოსო ოხანაშვილი.

არსებობდა მეუფე დიმიტრის დაკავების გეგმა. მეუფე დიმიტრი არის ერთ-ერთი ნათელი წერტილი დღეს მოღვაწე მაღალ იერარქებს შორის, რომლის დისკრედიტაციას ცდილობდნენ, – აცხადებს მამა გიორგი.

პატიმრობაში მყოფი დეკანოზის თქმით, საპატრიარქოსა და საქართველოს სპეცსამსახურებში არსებობდა გავლენიანი პირების ჯგუფი, რომლებსაც მეუფე დიმიტრის ჩამოშორება სურდათ.

შაბათის კურიერთან საუბარში დეკანოზმა თავი შეიკავა იმ სასულიერო პირების დასახელებისგან, რომლებიც მისგან მეუფე დიმიტრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას ითხოვდნენ.

სამაგიეროდ, ის ასახელებს პროკურატურის მაღალჩინოსნებს, რომლებმაც მას პატრიარქის ძმისშვილისთვის ხელის დადება მოსთხოვეს. მან აღნიშნა, რომ გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე ითხოვდა მეუფე დიმიტრის დასახელებას.

– გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე დაკავების დღეს ითხოვდა ამ ყოველივეს, ხოლო შემდგომ ის პროკურორები, რომლებიც ჩემთან საპყრობილეში შემოდიოდნენ ხოლმე, – ამბობს დეკანოზი.

მამა გიორგი მამალაძე არ გამორიცხავს, ვინმეს ინტერესში მისი ლიკვიდაციაც შედიოდეს.

ციანიდის სკანდალის შემდეგ არაერთხელ გაიჟღერა, რომ ამ საქმესთან იყო დაკავშირებული სუსის უფროსის მოადგილე იოსებ გოგაშვილი. იმაზეც არაერთხელ დაწერილა და თქმულა, რომ მასთან ახლობლობდა მეუფე იაკობი.

მამა გიორგი რაღაცების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს, თუმცა ამბობს, რომ საპატრიარქოში გოგაშვილის გვარი ხშირად ისმოდა. ამბობს იმასაც, რომ მეუფე იაკობი გოგაშვილის ახლობელი იყო.



მამა გიორგი მამალაძის თქმითვე, სასამართლო სხდომებიდან გაირკვა, რომ საპატრიარქოსა და სპეცსამსახურს შორის კომუნიკატორის ფუნქციას მეუფე იაკობი ასრულებდა.

– მეუფე იაკობმა სასამართლოში განაცხადა, რომ ის იყო კომუნიკატორი ძალოვან სტრუქტურებსა და საპატრიარქოს შორის.

ის აქტიურობა ამ საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც მეუფე იაკობი იჩენს, ნათელია საზოგადოებისთვის. თქვენც იცით ხომ, მას არაერთხელ გაუკეთებია. კონკრეტულად, ახლა მე ვერ დავემსგავსები იმ ადამიანებს, რომ ასე საჯაროდ, მათ მსგავსად ვთქვა, რომ ესეც იყო. მაგრამ მისი აქტიურობა ნათელია და, როგორც აქტიურობს, ეს საზოგადოებამ შეაფასოს, ვინ უფრო იყო ძალოვან სტრუქტურებთან კავშირში, – აღნიშნა დეკანოზმა.

❖ ❖ ❖

შეთქმულებაზე განცხადებები მეუფე დიმიტრიმაც გააკეთა და თქვა, რომ პატრიარქს მოუყვებოდა იმას, რაც მას მამა გიორგიმ ციხეში უამბო.

ამ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა, სადაც გადაწყდა, რომ ციანიდის საქმეს სინოდის მიერ შექმნილი კომისია შეისწავლის. მანამდე საპატრიარქო აცხადებდა, რომ გამოძიებას სრულად ენდობოდა.

# „საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებული კრიმინალური შემთხვევები ერის იმიჯს უაღრესად დიდ ზიანს აყენებს“

## საქართველოს ელჩი საბერძნეთში საგანგებო განცხადებას აკეთებს

საბერძნეთისა და სერბეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იოსებ ნანობაშვილი განცხადებას ავრცელებს, სადაც უკანასკნელ პერიოდში ბერძენი სამართალდამცავების მიერ საქართველოს მოქალაქეების დაკავებას ეხმაურება.

ის წერს, საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებული კრიმინალი აფერხებს ქართულ-ბერძნულ მოლაპარაკებებს, ასევე ზიანს აყენებს ქვეყნის იმიჯს.

– თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე ეტაპზე საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებული კრიმინალური შემთხვევების არსებობა საქართველოსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობებში არსებულ უმთავრეს პრობლემად რჩება. ვფიქრობ ზედმეტია იმის განმარტება, რომ ეს პრობლემა უაღრესად დიდ ზიანს აყენებს, როგორც ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ერის იმიჯს, ასევე საელჩოს საქმიანობას. მსგავსი ფაქტები მნიშვნელოვნად აფერხებენ საბერძნეთის ხელისუფლებასთან ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მოლაპარაკებას, ასევე საქართველოს მოქალაქეების მიმართ ბერძნულ საზოგადოებაში ქმნიან ძალზე ნეგატიურ ფონს.

მიუხედავად ამგვარი რეალობისა, საელჩო საბერძნეთის მთავრობის შესაბამისი სტრუქტურების უმაღლეს პირებთან, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური არხებით, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, მუდმივ დიალოგს აწარმოებს ორ საკითხზე:

1. განუხრელად იყოს დაცული საქართველოს მოქალაქეების უფლებები, მიუხედავად იმ დანაშაულის სიმძიმისა, რომელიც მათ ედებათ ბრალად.

2. არ იქნას დაშვებული მცდარი, ორაზროვანი ან გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება დანაშაულში ბრალდებული ჩვენი თანამემამულეების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 2015 წლის მეორე ნახევრიდან ჩემი ხელმძღვანელობით, საელჩოს შესაბამისი რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია არცერთი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს მოქალაქეების დაკავების ფაქტებს და რომლებიც რაიმე სახის კითხვის ნიშნებს ტოვებდა. ასეთი შემთხვევების მიმართ ჩვენი რეაგირება ყოველთვის იყო მყისიერი, ხოლო პოზიცია მკაცრი და პრინციპული. ასევე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 2015 წლის მეორე ნახევრიდან საელჩოში არ შემოსულა საბერძნეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების არც ერთი საჩივარი და განცხადება, რომელიც აღწერდა საქართველოს მოქალაქეების მიმართ ჩადენილ დარღვევას და რომელიც, გარწმუნებთ, გაამყარებდა ჩვენს პოზიციას ამ მგრძნობიარე თემაზე ბერძნულ მხარესთან ოფიციალურ მოლაპარაკებებში.

დავუბრუნდები უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მოქალაქეების დაკავების შემთხვევებს და გაცნობებთ, რომ აღნიშნულ დაკავებებთან დაკავშირებით საელჩოს აქვს წინასწარი ინფორმაცია, როგორც ფაქტების დამახინჯების, ასევე ინფორმაციის გავრცელების კუთხით შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის მიერ დაშვებული გადაცდომების თაობაზე. მომავალი კვირის ბოლომდე ჩვენ გვექნება კომპეტენტური დასკვნა, რის საფუძველზეც, გარწმუნებთ, ჩვენი რეაგირება, ამ შემთხვევაშიც, იქნება დროული და ქმედითუნარიანი. მიმდინარე ეტაპზე, საელჩოს ხელთ უკვე არსებობს ყველა შესაბამისი ბერკეტი, რომ მსგავს ფაქტებზე მივიპყროთ როგორც საბერძნეთის მთავრობის, ასევე ბერძნული მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ყურადღება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მოქმედებისას, თქვენთვის გასაგებ მიზეზთა გამო, საელჩო უპირატესობას ანიჭებს ყველა შესაბამისი ზომის გატარებას, შედარებით უხმაუროდ, პრობლემებისათვის ქართული მხარის დამაზიანებელი რეზონანსის მიცემის გარეშე.

მოგმართავთ ტრადიციული თხოვნით, დაელოდოთ ხსენებული მიმართულებით ჩვენი მუშაობის შედეგებს, აქტიურად ითანამშრომლოთ საქართველოს საელჩოს შესაბამის სამსახურებთან, მოერიდოთ გადაუმოწმებელი ინფორმაციების გავრცელებას, როგორც საელჩოს საქმიანობის შესახებ, ასევე ჩვენს დიასპორისათვის აქტუალურ თემებთან დაკავშირებით, – წერია მიმართვაში, რომელიც საელჩოს ფეისბუქგვერდზეა გამოქვეყნებული.



მედიანიუსი

# გაეროს ათობით თანამშრომელს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათობით თანამშრომელს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ.

ამის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა სტეფან დიუჟარიკმა განაცხადა.

მისი თქმით, ორგანიზაციაში 31 საჩივარია შესული, საიდანაც ერთი უკვე დადასტურდა, 14 საქმეზე კი გამოძიება დაიწყო.

მსოფლიო ორგანიზაციის წევრებს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში ჩადენილ სექსუალურ ძალადობას ედავებიან.

ჯამში, სექსუალურ ძალადობაში 38 მამაკაცია ეჭვმიტანილი, დაზარალებულთა შორის კი არიან 36 ქალი და 19 მოზარდი.



ძირითადად კი, ეს ორგანიზაციის სამშვიდობო მისიის წარმომადგენლებს ეხებათ, რომლებიც ცენტრალურ აფრიკაში, სამხრეთ სუდანში, კონგოსა და განაში დევნილების საკითხებზე მუშაობენ.

ასოშეიტედ პრესის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ აჩვენა, რომ მსოფლიო მასშტაბით, ბოლო 12 წლის განმავლობაში, გაეროს სამშვიდობო მისიის წევრების მხრიდან გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის 12 ათასამდე შემთხვევა დაფიქსირდა.

# გურიაში ახალი ჰესი აშენდება

ენერგეტიკის სამინისტრომ გურიის რეგიონში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე გუბაზეულზე ასაშენებელი „გუბაზეული 6 ჰესის“ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების მიზნით ინტერესთა გამოხატვა გამოაცხადა.

ინტერესთა გამოხატვა კომპანია შპს „შელერიის“ განაცხადის საფუძველზე გამოცხადდა.

„გუბაზეული 6 ჰესის“ დადგმული სიმძლავრე 3.06 მვტ-ია, სავარაუდო წლიური გამომუშავება კი 20.25 მლნ.კვტ.სთ-ს შეადგენს. პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 3.670.000 აშშ დოლარია.

დაინტერესებულმა პირებმა პროექტის განხორციელების შესახებ განაცხადი ინტერესთა გამოხატვით დადგენილი პირობების შესაბამისად ენერგეტიკის სამინისტროში (სანაპიროს ქ. №2) 2017 წლის 30 ნოემბრის 18:00 საათამდე უნდა წარადგინონ.



# გიორგი ჩოგოვაძე: „მთავრობა ტურიზმიდან რეკორდულ შემოსავალს ელოდება“

10 თვის მონაცემებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ 6,4 მილიონს გადააჭარბა. ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე გადაცემაში „ანალიტიკა“ ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე საუბრობს.

***– ბატონო გიორგი, რომელ ქვეყნებზე მოდის ზრდა და, ტრადიციული ბაზრების გარდა, ახალი ქვეყნებიდან თუ იკვეთება საქართველოს მიმართ ინტერესი?***

– მთავარი ციფრი არის 6 მილიონ 430 ათასი საერთაშორისო ვიზიტი, რომელიც 10 თვის განმავლობაში განხორციელდა. ამ მონაცემით ჩვენ დავეწიეთ და 70 ათასი ვიზიტით გავასწარით გასული წლის 12 თვის მონაცემებს. შესაბამისად, წელს ჩვენ ტურისტების რაოდენობის მხრივ ახალი რეკორდი და ახალი ნიშნულის გადალახვის წელიწადი გვექნება, როდესაც პირველად ეწვევა ჩვენ ქვეყანას 7 მილიონზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორი. აბსოლუტურ ციფრებში გაუმჯობესება დაახლოებით 1 მილიონი ახალი საერთაშორისო ვიზიტი იქნება. ეს დამატებითი შემოსავალი და დამატებით შექმნილი სამუშაო ადგილები იქნება ჩვენს ქვეყანაში. ასევე დამატებითი ინვესტიციები, რადგან ბიზნესისთვის მთავარი სწორედ ზრდის ტენდენციაა და ეს ციფრები კარგი სტიმული იქნება იმისთვის, რომ ტურიზმის სექტორში მეტი ინვესტიცია განხორციელდეს, როგორც ჩვენი თანამოქალაქეების მიერ, ასევე საერთაშორისო ინვესტიციების თვალსაზრისით. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენ მთავრობას ტურიზმის განვითარების ძალიან სწორი და წარმატებული მოდელი გააჩნია და ეს მოდელი იმ ციფრებში აისახება, რომელთაც ჩვენ გაგაცნობთ.



***– კვლევა უნდა გამოქვეყნდეს, სადაც უფრო დეტალურად გამოჩნდება დამატებითი შემოსავლების დინამიკა და უფრო ჩაშლილად ვნახავთ იმ რიცხვებს, რომლებიც ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს უკავშირდება. როდიდან უნდა ველოდოთ აღნიშნულ კვლევას?***

– იმ მონაცემებით, რომელთაც ჩვენ სტატისტიკის მიმართულებით გაცნობთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეყრდნობით, შემოსავლების ნაწილში ეს ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერ ქვეყნდება. 2016 წელი პირველი წელიწადი იყო, როდესაც საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლებმა საქართველოში 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ის ზრდა, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ და 2017 წლის შეჯამებით დასრულდება, რა თქმა უნდა, თავის გავლენას იქონიებს შემოსავლების ნაწილზე და ეს იქნება სავალუტო შემოსავლები და ახალი რეკორდი ამ კუთხით. როგორც კი გვექნება აღნიშნული კვლევა, ერთად გავაანალიზოთ იგი.

***– როგორც ვიცით, ეკონომიკის მინისტრის ახალი მრჩეველი, პოლსენი, რამდენიმე კვირის წინ ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა და მათთან ერთად იგეგმება ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შექმნა. ხომ არ იცით, რას უკავშირდება იგი, რადგან ჩვენ 2025 წლამდე გვაქვს ასეთი სტრატეგია.***

– საქართველოში არსებობს ტურიზმის განვითარების 10-წლიანი სტრატეგია 2015 წლიდან 2025 წლამდე, რომელიც მსოფლიო ბანკთან ერთად შეიქმნა. ალბათ ახალი სტრატეგიის დაწერაზე არ არის საუბარი, მე აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გამაჩნია, თუმცა ნებისმიერ დონეზე კავშირი კერძო სექტორთან მისასალმებელია. ზოგადად სტრატეგია ყოველთვის არ არის ცოცხალი დოკუმენტი და თუ რამე ახალი ინიციატივა ან ახალი იდეა გაჩნდება ამ შემთხვევაში კერძო სექტორში, ჩვენ ამ იდეებს და ინიციატივებს სამოქმედო სტრატეგიებში გავითვალისწინებთ და მათთან აქტიურ მუშაობას ყველა დონეზე აქტიურად გავაგრძელებთ. კერძო სექტორთან შეხვედრები არამარტო ტურიზმს, არამედ ეკონომიკას ავითარებს. ნებისმიერი სფეროს განვითარება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის აქტიური თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია.

***– ერთ-ერთი ტურისტული კომპანია წუხდა, რომ საერთაშორისო გამოფენების სიაში არის რუსეთი და არ არის, მაგალითად, ამერიკა. თქვენ ამბობთ, რომ კერძო სექტორთან შეთანხმებით ადგენთ ქვეყნების სიას?***

– რუსეთი დღესდღეობით საერთაშორისო ვიზიტორების კუთხით მესამე ადგილზეა და პირველ პოზიციაზეა იმ ტურისტების მიმართულებით, რომლებიც 24 საათზე მეტი ხანი ჩერდებიან საქართველოში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ტურისტული სექტორის წარმომადგენლების ინტერესი, რომ რაც შეიძლება მეტი ტურისტი მიიღონ რუსეთიდან კონკრეტული კომპანიების თუ ორგანიზაციებისთვის საკმაოდ დიდია და შესაბამისად, გამოფენების მიმართაც ინტერესი მაღალია. იმ ტურისტული გამოფენების რაოდენობა შეზღუდულია, რომელშიც ჩვენ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ. ერთი წლის განმავლობაში ერთდროულად ყველა ქვეყანაში ვერ ჩავალთ. რადგან არჩევანი შეზღუდულია, სია იმის მიხედვით შედგა, სადაც მეტი ინტერესი გამოვლინდა.

***– 2018 წლის ბიუჯეტი აჩვენებს, რომ ჩეკ ინ ჯორჯია გრძელდება. იდენტიფიცირებული თუ გაქვთ ის ხარვეზები, რომლებიც პროექტს ახლდა თან და რის გამოსწორებას გეგმავთ?***

– პროექტი სრულდება და წლის ბოლოს სრული ინფორმაცია გვექნება როგორ ჩაიარა მან, რის შემდეგაც შევძლებთ დეტალური ანალიზის გაკეთებას. ზოგადად პროექტი კარგია და იგი სხვადასხვა ქვეყანაშია ადაპტირებული, რომ საერთაშორისო ღონისძიებების საშუალებით ქვეყნის იმიჯი და ინტერესი გაიზარდოს და ეს ყველაფერი იმისთვის იქნეს გამოყენებული, რომ საქართველო უფრო აქტუალურად იყოს წარდგენილი როგორც საიმიჯო, ასევე ტურისტული შეთავაზების ნაწილში.

***– ტურიზმის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია ჩეკ ინ ჯორჯიას პროექტზე?***

– ჩვენ არანაირ პასუხისმგებლობას არ გავურბივართ. შევაფასებთ პროექტის ავკარგიანობას და ყველა იმ საშუალებას და მოსაზრებას გამოვიყენებთ, რომელიც კერძო სექტორს შეიძლება გააჩნდეს იმისთვის, რომ 2018 წელს პროექტი კიდევ უფრო საინტერესო იყოს. ეს არ არის ჩვენი გამოგონილი ველოსიპედი, მსგავსი ტიპის პროგრამები სხვადასხვა ქვეყნებშიც ხორციელდება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ტურისტების რაოდენობა დიდია.

# რატომ არ ინტერესდება ბიზნესი თავისუფალი ტურისტული ზონებით?

კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების შესახებ 2010 წლიდან მოქმედებს. წინა ხელისუფლების დროს მიღებული კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს.

თავისუფალი ტურისტული ზონებით დაინტერესების შემთხვევაში ინვესტორი თავისუფლდება ქონებისა და მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან 15 წლის ვადით. ასევე მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან. საქართველოს მთავრობა თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, სასტუმროს შენობამდე შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოაწესრიგოს ან/და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ახლის მშენებლობა.

კანონიდან მიღებულ შედეგებზე გადაცემაში „საქმის კურსი“ „ჰელისკი ჯორჯიას“ დამფუძნებელი ვატო ასათაშვილი საუბრობს.



***– ბატონო ვატო, როგორ ფიქრობთ, თავისუფალმა ტურისტულმა ზონებმა რატომ ვერ გაამართლა?***

– თავისუფალ ტურისტულ ზონას აზრი მაშინ აქვს, როდესაც ადგილზე რაღაცის განვითარება მიმდინარეობს. მაგალითისთვის, ბოლო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფომ დიდი ხარჯი გაწია სათხილამურო კურორტების გასავითარებლად და ამ კურორტების პარალელურად თუნდაც თავისუფალი ტურისტული ზონაც რომ გაკეთებულიყო, ეს ამ ადგილებში ინვესტიციების მოზიდვას წაადგებოდა. თუმცა, რეალურად პირიქით მოხდა და ჩემი აზრით, ეს დაუგეგმავი პოლიტიკის ნაწილია. ტურიზმის გეგმარება არ არის გათვლადი პროცესი, არამედ უფრო თვითდინებით მიმავალი პროცესია. ამაზე ჩვენ დიდი ხანია ვსაუბრობთ და ასე გაგრძელება შეუძლებელია, რადგან კონკრეტული გეგმა და კონცეფცია უნდა არსებობდეს. არ შეიძლება, ყველა ტურისტული ზონა საერთო გეგმით მართო. ყველას თავისი კონკრეტული მიდგომა სჭირდება.

მაგალითად, როგორც ანაკლიას სჭირდება კონკრეტული მიდგომა, ზუსტად ანალოგიურად სჭირდება სამთო-სათხილამურო კურორტებს და ასევე სჭირდება საზღვაოსა და ოთხსეზონიან კურორტებს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ ერთიანი გეგმით, რომელიც დავინახეთ, რომ არ მუშაობს, ადგე და მიწის მონაკვეთები მოზომო.

***– შეიძლება თუ არა, ახალი ტურისტული ზონების დამატების შემთხვევაში ბიზნესი ჩაერთოს? ეკონომიკის სამინისტრო თუ ამზადებს ცვლილებებს?***

– რეალურად ცვლილებები ან ნებისმიერი სახის ინიციატივა თუ არსებობს ტურისტულ ზონებთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა, ეს ბიზნესიდან და მისი მოთხოვნებიდან უნდა მოდიოდეს. თუ ბიზნესს ამა თუ იმ რეგიონში რაღაცის გაკეთება არ აინტერესებს, რაც არ უნდა დავარქვათ იმას, იქ ხელოვნურად ვერაფერს შევქმნით, ანუ ხელოვნური ტურისტული ცენტრების შექმნა შეუძლებელია.

საქართველო დღესდღეობით განვითარებადი ქვეყანაა, პოტენციალი აქვს და ვიცით, რომ ბევრი მიმართულება განუვითარებელია და სწორედ აღნიშნული მიმართულებების განვითარება სჭირდება და ფოკუსირებაც სწორედ იმაზე უნდა გავაკეთოთ, რომელსაც პოტენციალი აქვს და მოთხოვნადია. ამ ეტაპზე ამაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა, ბიზნესთან კომუნიკაცია აღნიშნულ თემაზე არ გამართულა. ეს უბრალოდ ჩაკეტილი წრეა და კაბინეტებში წყდება, ესა თუ ის კანონი შეიცვლება თუ არა.

***– თავისუფალი ტურისტული ზონის იდეაც ხომ ის არის, რომ იქ არ არის შესაბამისი მოთხოვნა და მთავრობას სურს, მოთხოვნა გააჩინოს ინვესტორებში, ამიტომაც სთავაზობს შეღავათებს?***

– ისევ ხაზს გავუსვამ, რომ ჩვენ ხელოვნურად შექმნილი ტურისტული ზონები არ გვჭირდება. ჩვენ ისედაც ვიცით, რომელ ზონაში ჩადის ყველაზე მეტი ტურისტი და ახლა ფოკუსირება გვჭირდება იმაზე, რომ სწორედ ის რეგიონები კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ, რომლებიც მუშაობენ და იქ მოხდეს უკეთესი სერვისის მიწოდება. უკეთესი სერვისის მიწოდება კი მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. ნოუ ჰაუ ტრანსფერით არის შესაძლებელი, ანუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით და საქართველოში გამოცდილი ბიზნესჯგუფების ჩამოყვანით.

დღეს განვითარებული ადგილებიდან უნდა დაიწყონ, სადაც სერვისები კიდევ უფრო კარგად განვითარდება და გაფართოვდება, ვიდრე მინდვრებიდან და მიუვალი ტერიტორიებიდან.

# როდის გაიყიდება ქართული თევზი ევროკავშირში

ქართული თევზის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე ამ დრომდე არავის განუხორციელებია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა შავი ზღვის აკვატორიაში მოპოვებული ქართული თევზი ევროპის ბაზარზე დაუშვა, ამ შესაძლებლობით ჯერჯერობით არავის უსარგებლია.

„საქმის კურსს“ სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, რომ არცერთ ბიზნესსუბიექტს მათთვის შესაბამისი დოკუმენტაციის გაცემის მოთხოვნით არ მიუმართავს.

ევროკავშირმა საქართველო ივ-



ნისში დაამატა იმ მესამე ქვეყნების ჩამონათვალს, საიდანაც ევროპის ბაზარზე შესაძლებელია შავი ზღვის თევზისა და თევზის პროდუქტების შეტანა.

– შავი ზღვის თევზს და თევზის პროდუქტებს ევროკავშირის ბაზარზე წვდომის დიდი პოტენციალი გააჩნია. დღეისათვის, 30 მილიონ დოლარამდე ღირებულების პროდუქტის ექსპორტი ხორციელდება თურქეთში, რომელიც, ფაქტობრივად, ერთადერთი საექსპორტო ბაზარი იყო ქართული თევზისთვის. დღეიდან შესაძლებელი იქნება ქართული პროდუქტი 500-მილიონიან, მაღალმსყიდველობითუნარიან ევროპულ ბაზარზე დამკვიდრდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ სექტორში გაჩნდება მეტი შესაძლებლობები, რაც იქნება სტიმული საქართველოში თევზჭერისა და მთლიანად ინდუსტრიის განვითარებისთვის, – აღნიშნა რამდენიმე თვის წინ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

# ვაშინგტონში პირველი ქართული რესტორანი იხსნება

## შეფმზარეული მალხაზ მაისაშვილი იქნება




7 ნოემბერს აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში პირველი ქართული რესტორანი იხსნება. რესტორნის დამფუძნებლები ადგილობრივი მოქალაქეები ჯონათან და ლაურა ნელმსები იქნებიან, რესტორნის მთავარი მამოძრავებელი ძალა კი საქართველოს საელჩოს ყოფილი შეფმზარეული მალხაზ მაისაშვილი იქნება. ამერიკელ მომხმარებლებს შეეძლებათ დააგემოვნონ ისეთი კერძები, როგორებიცაა: ხაჭაპური, ხინკალი, საცივი, ფხალი, მწვანე ლობიო და სხვა. რესტორანი სტუმრებს ქართულ ღვინოსაც შესთავაზებს. გარდა ამისა, მომზადებისას გამოყენებული იქნება ქართული სანელებლები. რესტორანი 136 სტუმარზე იქნება გათვლილი და ინტერიერი ქართული ტრადიციული ელემენტებით იქნება გაჯერებული.

# რა არის ვალის ხანდაზმულობა და რა ხდება მისი გასვლის შემდეგ

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ არ არის შეუზღუდავი.

საადვოკატო ბიუროს OK&CG-ს ინფორმაციით, არ შეიძლება, რომ მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა მუდმივად გაუგებარი იყოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონი ადგენს ხანდაზმულობის ვადას, რომლის გასვლის შემდეგაც მოვალე უფლებამოსილია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე.



ხანდაზმულობის ვადის გასვლა იწვევს მოვალის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის გაქარწყლებას. თუ ასეთ პირობებში მოვალე მასზე დაკისრებულ ვალდებულებას ნებაყოფლობით შეასრულებს, შემდგომში უკვე შესრულებულის უკან დაბრუნებას ველარ მოითხოვს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ხანდაზმულობის საერთო ვადა კი ათ წელს შეადგენს.

თუ კრედიტორი აღნიშნულ ვადაში სათანადო ფორმით პრეტენზიას არ განუცხადებს მოვალეს, ის დაკარგავს მოთხოვნის უფლებას.

ამასთანავე, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორი არ კარგავს უფლებას, რომ თქვენ მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სასამართლოს მიმართოს. ასეთ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ კრედიტორის მოთხოვნა ხანდაზმულია, რაც წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

ალსანიშნავია, რომ თუ სასამართლოს არ მიუთითებთ, რომ თქვენ მიმართ არსებული მოთხოვნა ხანდაზმულია, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ხანდაზმულობის საკითხზე თავად იმსჯელოს.

**ბიპიენი**

# გაბრიელ ტანიე: „ქანაანის შვილები“ სოფელ არგვეთაში დავიწყე და ბარსელონაში დავასრულე“

## „ეს პირველი ინტერვიუა წიგნის დაწერის შემდეგ. ჩემს წიგნზე რომ ვლაპარაკობ, ძალიან მრცხვენია“

7 ნოემბრიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება გაბრიელ ტანიეს ბესტსელერად ქცეული რომანი „ქანაანის შვილები“. გთავაზობთ ინტერვიუს მწერალთან.

***— რამდენიმე თვის წინ „ინტელექტმა“ გამოსცა თქვენი სადებიუტო რომანი „ქანაანის შვილები“, რომელიც მოკლე ხანში ბესტსელერად იქცა. ელოდით წიგნის ამგვარ პოპულარობას? როგორ წარუდგენთ თავს მკითხველს, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, ვინ დგას გაბრიელ ტანიეს ფსევდონიმის უკან?***

— რა თქმა უნდა, არ ველოდი. ვინმე საერთოდ ელოდება წინასწარ რამეს? ბოლო წუთამდე მრცხვენოდა, ჩემს რედაქტორს სულ ვეუბნებოდი, იქნებ თავი შევიკავოთ გამოცემისგან-მეთქი. ერთი წამითაც კი არ ველოდი ამ ყველაფერს. გაბრიელ ტანიეს უკან კი დგას გაბრიელ ტანიე.

***— ჩვენ გარშემო იშვიათია სასულიერო პირი, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებებს ქმნის. თქვენ როდის გაგიჩნდათ რომანის დაწერის სურვილი?***

— სურვილი სულ მქონდა, ადრეც — ბავშვობაში. ისეთი ბავშვობა მაქვს გამოვლილი, რამე გატაცება თუ მქონდა, ამის თქმაც არ შეიძლებოდა. ქუჩაში, ჩემს თანატოლებთან როგორ უნდა მეთქვა, რომ წიგნს ვკითხულობდი?! ახლა ვხვდები, ქუჩურ მიდგომას რამდენი ნიჭი და ტალანტი აქვს ჩაკლული ჩვენში. განსხვავებული აზროვნების მქონე ადამიანს გამუდმებით ამცირებდნენ. მეც ბევრი რამ დამაკარგვინა ამ დამოკიდებულებამ. ერთი კონფორმისტი ბიჭი ვიყავი, კითხვასა და ხატვას როგორ ვახსენებდი?! წერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... თუ რამეს დავწერდი, მაშინვე საჩქაროდ ვწვავდი ხოლმე, ვინმეს რომ არ წაეკითხა.

მერე ნელ-ნელა დაგროვდა ეს ყველაფერი და საბოლოოდ ისევ წიგნამდე მივედი. გარდატეხა დათო ტურაშვილის წიგნებმა მოახდინა. მის წიგნებს რომ ვკითხულობდი, თითქოს ფურცლები მეუბნებოდნენ, — მიდი, მიდი, დაწერეო...

***— მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორია განსაკუთრებით აინტერესებს მკითხველს. თქვენს შემთხვევაში როგორია წერის პროცესი, რამე განსაკუთრებული პირობები თუ გჭირდებათ ტექსტზე სამუშაოდ?***

— რომანის წერა სოფელ არგვეთაში დავიწყე. შემდეგ იყო ათათურქის აეროპორტი — მწერლისთვის გენიალური ლაბორატორიაა იატაკზე ჯდომა მე-18-დან 21-ე გეითებს შორის. ერთხელ ნეაპოლში მივფრინავდი, გადაიდო ფრენა და 12 საათი ვიჯექი აეროპორტში, მგონი, ორი თავი სწორედ იქ დავწერე. კასა დელ პრინციპეში, ნეაპოლთან ახლომდებარე სოფელში ამოვიჩემე ერთი კაფე. როგორც ამერიკულ ფილმებშია, სალონში შესულ ტიპებს ყველა რომ უყურებს, აი, ამ კაფეშიც ასე ვგრძნობდი თავს. ჩემი ბლოკნოტით დავდიოდი და ყველას გიჟი ვეგონე. ვწერდი ბარსელონაში, კაფე „ბაროკოში“. წიგნი, ფაქტობრივად, ბარსელონაში დავამთავრე.



ვწერდი ბარისახოშიც, ფოსტის შენობაში, სადაც ერთი ოთახი მქონდა გამოყოფილი. ასევე პარიზში, ლუქსემბურგის ბაღში ლამის ოფისი მქონდა გახსნილი... პარიზის ლათინურ კვარტალში, ეკოლის ქუჩის პირველ ნომერში, სასტუმრო „როიალ კარდინალის“ სხვენში მქონდა ოთახი და იქ ვწერდი. დავიწყებდი წერას, ფეხით გამოვიდოდი ლუქსემბურგის ბაღში და იქ ვაგრძელებდი ხოლმე. რომში კი ესპანეთის მოედნის კიბეზე მქონდა ჩემი სამწერლო სივრცე, საათობით ვიჯექი კიბეზე და ვწერდი. და, რაც მთავარია, ჩეხეთი — პრაღა და კარლოვი ვარი... ტიბეტის თავი აქ მაქვს დაწერილი. უმეტესად მაინც ამ ქვეყნებში, თვითმფრინავსა და გეითებში ვწერდი.

**ვწერდი ბარისახოშიც, ფოსტის შენობაში, სადაც ერთი ოთახი მქონდა გამოყოფილი. ასევე პარიზში, ლუქსემბურგის ბაღში ლამის ოფისი მქონდა გახსნილი... პარიზის ლათინურ კვარტალში, ეკოლის ქუჩის პირველ ნომერში, სასტუმრო „როიალ კარდინალის“ სხვენში მქონდა ოთახი და იქ ვწერდი. დავიწყებდი წერას, ფეხით გამოვიდოდი ლუქსემბურგის ბაღში და იქ ვაგრძელებდი ხოლმე. რომში კი ესპანეთის მოედნის კიბეზე მქონდა ჩემი სამწერლო სივრცე, საათობით ვიჯექი კიბეზე და ვწერდი. და, რაც მთავარია, ჩეხეთი — პრაღა და კარლოვი ვარი... ტიბეტის თავი აქ მაქვს დაწერილი. უმეტესად მაინც ამ ქვეყნებში, თვითმფრინავსა და გეითებში ვწერდი.**

***— ხშირად მწერალი წერის იმპულსს რეალური გარემოსაგან იღებს. რამდენად მოახდინეს გავლენა თქვენი პერსონაჟების მხატვრულ ფორმირებაზე გარშემომყოფმა ადამიანებმა?***

— მარი ანხელა, ჩემი პერსონაჟი, სინამდვილეში ღამით, ბარსელონაში ვნახე. გიჟურად მცხოვრებ ბარსელონაში, სადაც მთელი ღამე კლუბებში დადიან, ქუჩაში ცეკვავენ, ბნელ და წყნარ ქუჩაზე დავინახე არარეალური ადამიანი — გოგონა, რომელიც შუაღამით წიგნებს ყიდდა. ჩაცმულობაც უცნაური ჰქონდა: კოჭებამდე დაშვებული, ყელთან მჭიდროდ შეკრული, გრძელსახელოიანი ჩითის კაბა ეცვა. წიგნში როგორც მყავს აღწერილი, ზუსტად ისე გამოიყურებოდა. მივედი, დაველაპარაკე და ვუთხარი, შენ ხარ ჩემთვის ბარსელონა-მეთქი.

მას შემდეგ სულ მას დავეძებ. ახლაც, ბარსელონაში როცა ჩავალ, აუცილებლად მოვძებნი. ზუსტი მისამართიც მახსოვს, სადაც ვნახე. გრასიას უბანში, ასტორიასის ქუჩაზე დავინახე და ტრეს სენიორას ქუჩამდე მივაცილე. გორგოლაჭებიანი დახლით დადიოდა და წიგნებს ყიდდა. მისამართი ზუსტად იმიტომ მახსოვს, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე ვეძებდი და ველარ ვიპოვე.

***— რა ხასიათის, რომელი ჟანრის ლიტერატურას ამჯობინებთ საკითხავად? რომელიმე მწერალმა ან წიგნმა თუ მოახდინა გავლენა „ქანაანის შვილებზე?“***

— ტურაშვილისა და მორჩილაძის წიგნებმა. ასევე, ძალიან მიყვარს სალმან რუშდის „შუაღამის შვილები“, ფოლკნერის „აგვისტოს ნათე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ბრიუსელში კატალონიის ლიდერი კარლეს პუჩდემონი დააპატიმრეს



ბრიუსელში კატალონიის მთავრობის მეთაური კარლეს პუჩდემონი და ბელგიის დედაქალაქში მასთან ერთად მყოფი ოთხი მინისტრი ბელგიის პროკურატურის განკარგულებით დააპატიმრეს.

ხუთივე მათგანი პროკურატურაში საკუთარი ფეხით მივიდა.

ისინი საპატიმროში 24 საათს დაჰყოფენ, რის შემდეგაც სასამართლო მათი ესპანეთისთვის გადაცემის საკითხს განიხილავს.

# თელავში 26 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

თელავში, მშვიდობის ქუჩაზე, 26 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. ნიკოლოზ ავბენაშვილის ცხედარი საკუთარ საცხოვრებელ სახლში დილით ოჯახის წევრებმა ნახეს და პოლიციას შეატყობინეს.

რა გახდა გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი, უცნობია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# შსს-მ ოჯახში ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული ნ.ბ. ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს — 1970 წელს დაბადებულ მ.ს.-ს.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის და სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით).

# ბათუმში დელტაპლანი, რომელზეც ტურისტები იყვნენ, ზღვაში ჩავარდა

ბათუმში, იახტკლუბის მახლობლად, დელტაპლანი, რომელზეც უკრაინელი და აზერბაიჯანელი ტურისტი იმყოფებოდნენ, 15 მეტრის სიმაღლიდან ზღვაში ჩავარდა. ტურისტები არ დაშავებულან.

ინფორმაციას საქართველოს საგანგებო სიტუაციათა სამსახური ავრცელებს.

„დელტაპლანის აპარატი ზღვაში აფრენიდან მალევე ჩავარდა, მაშველებმა საფრენი აპარატი და ტურისტები ბუქსირის მეშვეობით გამოიყვანეს,“ — ნათქვამია სამსახურის განცხადებაში.

# პროკურატურამ პოლიციელების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაასრულა



საქართველოს პროკურატურამ დ. ფ.-ს დაკავებისას პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაასრულა, სადაც შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს:

„2016 წლის 2 დეკემბერს, პოლიციელზე თავდასხმისთვის მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის დაკავებულმა, წარსულში განზრახი დანაშაულისთვის რამდენჯერმე ნასამართლევმა დ. ფ.-მ გამოძიების ეტაპზე განმარტა, რომ მისი დაკავებისას პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობის გამოყენების ფაქტებს. რის საფუძველზეც ქ.თბილისის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება დ. ფ.-ს დაკავებისას პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, ჩატარდა სხვადასხვა სახის ექსპერტიზები დაიკითხნენ მოწმეები.

საქმეზე გამოკითხულმა პოლიციელებმა და დ.ფ.-ს თანმხლებმა პირებმა გამოკითხვისას განაცხადეს, რომ ქ. თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე დ.ფ. თანმხლებ პირებთან ერთად იმყოფებოდა ავტომანქანაში, რომელიც პოლიციელთა გამოჩენის შემდეგ დატოვა და ტერიტორიიდან გაქცევის მიზნით ახლომდებარე ხევში გადახტა, რის შედეგადაც მიიღო სხეულის დაზიანებები. პოლიციელებმა მისი დაკავების მიზნით დევნა ველარ გააგრძელეს, რადგანაც ხევში გადახტომას შესაძლოა მოჰყოლოდა პოლიციელთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზიანება.

იმავე დღეს, დაახლოებით 21:30 საათზე დ.ფ. ნანახი და დაკავებული იქნა ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე. დაკავებისას მას აღენიშნებოდა სხეულის დაზიანებები, რომლებიც, მისივე განმარტებით, მიღებული ჰქონდა 2016 წლის 2 დეკემბერს დაცემის შედეგად. აღნიშნულ ოქმს ხელმოწერით ადასტურებს თავად დ.ფ.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დ. ფ.-ს დაკავებისას პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც საქართველოს პროკურატურამ საქმეზე გამოძიება შეწყვიტა.“

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# თურქეთიდან სირიელი ლტოლვილების გადაყვანისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს

თურქეთიდან საბერძნეთში სირიელი ლტოლვილების უკანონო გადაყვანის მცდელობის გამო თურქმა სამართალდამცავებმა საქართველოს 37 წლის მოქალაქე (ნ.ს.) თურქეთის 43 წლის მოქალაქესთან (ა.დ.) ერთად დააკავეს.

თურქული მედიის ინფორმაციით, მუღლას პროვინციაში, ქალაქ მარმარისში, პოლიციამ მიკროავტობუსი გააჩერა, რომლითაც 12 არალეგალი სირიელი ცდილობდა საბერძნეთში, როდოსის კუნძულზე გადასვლას.

როგორც მილიეთი წერს, მიკროავტობუსს საქართველოს მოქალაქე მართავდა.

# 29 წლის კაცი საკუთარ სახლში მოკლეს

თერჯოლაში, საკუთარ სახლში, ახალგაზრდა, 29 წლის კაცი გარდაცვლილი იპოვეს. მას ყელის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება.

ბ.გ. ოთახში ბებიამ ნახა. გარდაცვლილის ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული.

დანაშაული ცხელ კვალზე გაიხსნა და პოლიციამ ეჭვმიტანილი უკვე დააკავა. წინასწარი ინფორმაციით, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# რისთვის სჭირდებათ ირანსა და რუსეთს აზერბაიჯანთან დაახლოება

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს რუსეთთან და თურქეთთან დამეგობრებული ირანის წინააღმდეგ ბრალდებები სულ უფრო ძლიერდება. აშშ-ის პრეზიდენტმა თეირანი იემენიდან საუდის არაბეთში ბალისტიკური რაკეტის გაშვებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ირანის მიერ იემენიდან გაშვებული ბალისტიკური რაკეტა იმ საჰაერო თავდაცვის სისტემის საშუალებებით ჩამოაგდეს, რომელსაც ვაშინგტონი ერ-რიადს აწვდის.

სერიოზული პრეტენზიების გამოთქმას აგრძელებს ირანის მიმართ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ. მან შაბათს გამოაცხადა, რომ მსოფლიო ახლო აღმოსავლეთში ირანის მოსალოდნელ აგრესიას უნდა შეეწინააღმდეგოს.

ნეთანიაჰუ აღნიშნავს, რომ ირანის მხრიდან აგრესიის საფუძველს იგი ლიბანის პრემიერ საად ხარირის გადადგომაში ხედავს. გადამდგარმა ლიბანის პრემიერმა განაცხადა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ირანიდან და „ჰესბოლადან“ ემუქრება. მანვე ირანი დაადანაშაულა ლიბანზე კონტროლის დამყარების მცდელობაში.

– ლიბანის პრემიერის გადადგომა და მისი განცხადებები სიგნალია საერთაშორისო საზოგადოებისათვის, – აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

ისრაელის ხელისუფლების მონაცემებით, ირანმა მოახერხა ლიბანში დამკვიდრება ადგილობრივი შიიტური მოძრაობა „ჰესბოლას“ მეშვეობით. ამჟამად ირანს იმავეს გაკეთება სირიაში უნდა, სადაც მისი ძალები სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მხარეს იბრძვიან.



სხვა ქვეყნების ექსპერტები სახიფათო ძვრებს ელიან ირანისა და რუსეთის მჭიდრო ალიანსისაგან. მათი შეფასებით, თეირანი და მოსკოვი ყველანაირად ცდილობენ, აზერბაიჯანიც დაიახლოონ. ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა ირანი-რუსეთი-აზერბაიჯანის თანამშრომლობის სამმხრივი ფორმატი. ირანისა და რუსეთის პრეზიდენტებმა თავიანთ აზერბაიჯანელ კოლეგას აგრძნობინეს, რომ პოლიტიკური თანამშრომლობისა და კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრაში მონაწილეობის გარდა, მისგან მოითხოვენ სატრანსპორტო პროგრამებში ჩართვას. საუბარია არა ისეთ პროექტებზე, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო დერეფანი, რომელიც ახალი ამოქმედებულია, არამედ ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაზე. მასში რუსეთი და ირანი მონაწილეობენ. გარდა ამისა, ბაქოს სთავაზობენ თანამშრომლობას ნავთობისა და გაზის სფეროში, ასევე ურთიერთობას ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლაში.

ანალიტიკოსებისათვის საყურადღებოა, რომ პირველად ისტორიაში ირანის უმაღლესი ლიდერი აიათოლა ჰამენეი მოკლე დროში ორჯერ შეხვდა სხვა ქვეყნის მეთაურს – ვლადიმერ პუტინს. მათ ისაუბრეს არა მხოლოდ როგორც პოლიტიკურმა ლიდერებმა, არამედ, როგორც თავიანთი ქვეყნების უმაღლესმა მთავარსარდლებმა.

უმნიშვნელო არაა, რომ ირანის სულიერმა ლიდერმა პირველად მიიღო აზერბაიჯანის პრეზიდენტი.

ირანსა და რუსეთში ამჟამად არ არიან დაინტერესებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციით. ამიტომ ამ სახელმწიფოების პრეზიდენტებმა ილჰამ ალიევი გააფრთხილეს, არ გააჩაღოს ცხელი ომი რეგიონში.

მსოფლიოში ისევ სადავოა ირანის ატომის საკითხი.

2015 წელს მსოფლიოს ექვსმა სახელმწიფომ ირანთან გააფორმა ბირთვული შეთანხმება. ამ გარიგებით, გარკვეული შეზღუდვების სანაცვლოდ, ირანს სანქციები მოეხსნა. დონალდ ტრამპი გამოდის ამ შეთანხმების წინააღმდეგ და ირანს ადანაშაულებს პირობების დარღვევაში, ასევე ტერორისტების დაფინანსებაში. ევროპის სახელმწიფოები ამ შეთანხმების მომხრეებად რჩებიან. ამ გარიგების მოწინააღმდეგეა ისრაელი. ნეთანიაჰუ ტრამპის პოზიციას იზიარებს და მხარს უჭერს ამ შეთანხმების შესაბამისად ირანისთვის დაწესებული პირობების გამკაცრებას.

ისრაელის პრემიერი მსოფლიოსთვის სახიფათოდ მიიჩნევს ბირთვული ირანის უკონტროლო მოქმედებებს. იგი რამდენიმე წლის წინაც აცხადებდა, რომ ირანული ატომი ისლამურ სახელმწიფოზე უფრო საშიშია.

## პოროშენკო ტილერსონს დაუკავშირდა



უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო აშშ-ის სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა დონბასში გაეროს სამშვიდობოთა განთავსება იყო.

პოროშენკომ განაცხადა, რომ სამშვიდობოები დონბასის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის მის ოკუპირებულ ნაწილში, აგრეთვე რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე უნდა განთავსდნენ. ტილერსონმა ამას მხარი დაუჭირა. მან უკრაინის პრეზიდენტს განუცხადა:

– აშშ დონბასში სამშვიდობოების განთავსებას მხოლოდ ამ სქემით დაუჭერს მხარს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ გაერო-ს მშვიდობისმყოფელები მხოლოდ უკრაინელ მეომრებსა და სეპარატისტებს შორის გამყოფ ხაზზე უნდა განთავსდნენ. პუტინი მოითხოვს, რომ კონტინგენტი ძირითადად რუსებით იყოს დაკომპლექტებული. თუკი გაერო რუსეთს სამშვიდობო მანდატს მისცემს, რუსეთი მზადაა, მთელი სამშვიდობო მისია დააფინანსოს. უკრაინა ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

– რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ აგრესიას ახორციელებს, ანუ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარეა! რუსული სამშვიდობო კონტინგენტის დონბასში ჩაყენებაც გამორიცხულია, – ამბობს პოროშენკო.

## პესკოვი: „რუსეთი და აშშ ფხენიანთან დაკავშირებით არ თანამშრომლობენ“



პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით მოსკოვი და ვაშინგტონი ჯერჯერობით არ თანამშრომლობენ.

– სახეზეა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა და ისიც – ეპიზოდურად. რუსეთი და აშშ ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არ თანამშრომლობენ, – აცხადებს პესკოვი.

ამავე დროს, პუტინის თანაშემწემ ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ჩრდილოეთ კორეის პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულია. პესკოვმა განაცხადა, რომ პუტინ-ტრამპის შეხვედრის შემდეგ თანამშრომლობის საკითხიც გადაწყდება.

– რუსეთ-აშშ-ის კონტაქტებს ხელს უშლის უკრაინა, რომლის გამოც დასავლეთმა სანქციები დაგვიწესა, – თქვა პესკოვმა.

## რუსულ მარშზე ათი ადამიანი დააკავეს



რუსეთის ქალაქებში ე.წ. რუსული მარშები ჩატარდა. მოსკოვში ამ მარშის დროს ათიოდე ადამიანი დააკავეს. ესენი ძირითადად „შავი ბლოკის“ წარმომადგენლები იყვნენ. ასე უწოდებენ მათ, ვინც პუტინს არასაკმარის შოვინისტად მიიჩნევს და ულტრაშოვინისტური ლოზუნგებით გამოდის.

რუს ულტრარადიკალებს მოჰქონდათ პროვოკაციული ლოზუნგები როგორც კავკასიელების, ასევე უკრაინელების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ, გაეძევებინათ მოსკოვიდან კავკასიელები და უკრაინელები, რომლებიც იქ უკანონოდ ცხოვრობენ.

– დონბასში ჩვენს თანამემამულეებს ხოცავენ! უკვე ათასობით რუსი ჯარისკაცია დახოცილი! 2 მილიონზე მეტი რუსი იძულებულია, გადაიხვეწოს, ჩვენ კი უკრაინელებს აქ დაუბრკოლებლად ვუშვებთ! – სკანდირებდნენ ექსტრემისტები.

## საუდის არაბეთში 11 პრინცი და რამდენიმე მინისტრი დააკავეს



საუდის არაბეთის პრინცი ალ-ვალიდ ალ საუდი და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი იბრაჰიმ ალ-ასაფდი საუდის არაბეთის სამართალდამცველებმა დააკავეს.

4 ნოემბერს საუდის არაბეთის კორუფციასთან ბრძოლის უზენაესმა კომიტეტმა საუდის არაბეთის 11 პრინცის, ასევე, რამდენიმე ყოფილი და მოქმედი მინისტრის დაკავების სანქცია გასცა.

ყველა მათგანი უკვე დაკავებულია. მათ ბრალად კორუფციული გარიგებები ედებათ. კერძოდ, ერთ-ერთ პრინცს ბრალად ედება იარაღის გაყიდვის არაკანონიერი გარიგების დადება, კიდევ ერთ პრინცს – არარსებული კონტრაქტების დადება, ასევე, ბრალდებებია წაყენებული ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით.

კორუფციასთან ბრძოლის უზენაესი კომიტეტი საუდის არაბეთის მეფე სალმანის ბრძანებით იყო შექმნილი. კომიტეტი უფლებამოსილია, ჩაატაროს გამოძიება, გასცეს დაკავების ორდერი და ასევე ქვეყნის დატოვება აუკრძალოს ეჭვმიტანილებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21

# დინამო დაუმარცხებელია

**ოლიმპი-დინამო 59:72**
**(15:19, 15:19, 10:15, 19:19)**

ერთმანეთს ცხრილის ლიდერები – დაუმარცხებელი დინამო და 4 მატჩიდან მხოლოდ 1 წაგების მქონე ოლიმპი შეხვდნენ. ლეონიდ ივატინის გაწვრთნილ ოლიმპელებს შანსი ჰქონდათ, გამარჯვების შემთხვევაში დაკარგული ქულებით დასწეოდნენ დინამოს, თუმცა კარგად დაბალანსებულ ევროსარბიელზე მოთამაშე ერთადერთ ქართულ გუნდთან ვერას გახდნენ.

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა პირველი და მეორე პერიოდი ერთნაირი ანგარიშით – 19:15 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის 8 ქულით დაწინაურდნენ. მესამე პერიოდში დინამოელთა ლიდერობამ 10 ქულას გადააბიჯა და სხვაობას სტაბილურად ინარჩუნებდა. ოლიმპის კალათბურთელები ცუდად არ ირჯებოდნენ, თუმცა ბევრად გამოცდილი დინამო მეტოქეს მიახლოვების შანსს არ აძლევდა და ასე გაილია მეორე ტაიმიც. ანგარიშში სხვაობა ერთხელ, ისიც მცირე ხნით ჩამოსცდა 10 ქულას.

საბოლოოდ დინამოელებმა 72:59 მოიგეს და 4-დან 4 გამარჯვებით სუპერლიგას პოტენციურად ლიდერობენ. 13 ქულით გამარჯვებულებს კაილ ტურპინმა ულიდერა. 11 ქულა და 12 მოხსნა ნიკოლა გაჩეშამ მიითვალა, 11 ქულა დაგროვდა ლევან გრძელიძის ანგარიშზეც. ოლიმპში და სრულიად მატჩში საუკეთესო შედეგი ოლიმპელმა მარკ ოგდენმა დააფიქსირა, რომელმაც 14 ქულა და 17 მოხსნა მოაგროვა. 12 ქულა მიითვალა მიხეილ ჭოჭუამ, ხოლო რევაზ როგავას ანგარიშზე 10 მოხსნა, 9 პასი და 5 ქულა დაგროვდა.

**მგზავრები-ქუთაისი 74:85**
**(19:18, 14:27, 18:20, 23:20)**

ამ გუნდებს ცხრილში თანაბარი ქულები ჰქონდათ, თუმცა ქუთაისელებს ერთით ნაკლები მატჩიდან. შესაბამისად, გამარჯვება ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი გახლდათ.

შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მეოთხედის ბოლოს და მეორე პერიოდში მგზავრებმა რამდენჯერმე მოახერხეს მცირედით დაწინაურება. სტუმართა გუნდმა მეორე პერიოდის მეორე ნახევარში მატჩის სადავეები ხელთ იპყრო და თამაშის ბოლომდე აღარ დაუთმია.

საბოლოოდ, რიონისპირელებმა შეხვედრა გამარჯვებამდე იოლად მიიყვანეს – ქუთაისმა 85:74 მოიგო, რაშიც 22 ქულით ლომის წილი გიორგი ბარბაქაძემ დაიდო, რომელმაც 8-დან 6 სამიანი ჩააგდო. 18 ქულა მიითვალა ჯონათან ლიმ, ხოლო აკაკი დვალიშვილი იყო ერთადერთი, რომელმაც ამ მატჩში ორმაგი დუბლი გააკეთა – 14 ქულა, 11 მოხსნა. მგზავრებს 19 ქულით კახა ჯინჭარაძემ ულიდერა, რატი ნუცუბიძისა და ბერნარ ნკალის ანგარიშზე კი 10-10 ქულა დაგროვდა.

**დელტა-ბათუმი 78:92**
**(14:14, 24:18, 12:35, 28:25)**

მატჩი მარნეულში უნდა გამართულიყო, თუმცა ქვემოქართლური გუნდის ტექნიკური პრობლემების გამო შეხვედრას თბილისის ოლიმპიურმა სასახლემ უმასპინძლა და ნომინალური მასპინძელიც დელტა გახლდათ.

მატჩამდე ქვემოქართლურ გუნდში მთავარი მწვრთნელი წარადგინეს – მარნეულელებს თემურ კანკია გაწვრთნის, რომელიც აქამდე მგზავრების ასისტენტი მწვრთნელი იყო. სწორედ ამ შეხვედრაზე განაცხადეს, რომ მეორე წრიდან დელტა საშინაო მატჩებს მარნეულში ჩაატარებს.




კანკიას დებიუტი წარუმატებელი გამოდგა – მისი გაწვრთნილი გუნდი პირველივე შეხვედრაში ძლიერ ბათუმს დაუპირისპირდა. მარნეულელებმა კარგად ჩაატარეს პირველი ტაიმი და დიდ შესვენებას ლიდერის ამპლუაში შეხვდნენ – 38:32.

შესვენებიდან დაბრუნებული ბათუმელები სულ სხვა შემართებით ათამაშდნენ და ჩამორჩენა 2 წუთში გააბათილეს, პერიოდის ბოლომდე კი გვარიან უპირატესობასაც დაეუფლნენ. ამერიკელი სპენსერ კოლინსისა და უკრაინელი ლეგიონერების შორი სროლებით, ასევე სერბი სტეფან ანდრესევიჩის შედეგიანი ფარქვეშ თამაშით ზღვისპირელებმა მესამე ათწუთეული 35:12 მოიგეს და ფაქტობრივად მატჩის ბედიც გადაწყვიტეს.

ბოლო პერიოდის დაწყებამდე სტუმრები 17 ქულას იგებდნენ და მატჩიც აუღელვებლად მიიყვანეს გამარჯვებამდე. ბათუმელებს 26 ქულით სპენსერ კოლინსმა ულიდერა. 19 ქულა მიითვალა ლეონიდ სტეპანიშინმა, ხოლო 18 – ილია შემოსიუკმა. მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი სტეფან ანდრესევიჩმა მიითვალა.

დელტას შემადგენლობაში 17 ქულით ბომბარდირი გახდა არტიომ შვეცი. დეანდრე რეის ანგარიშზე 13 ქულა დაგროვდა, ჯინ ბონდუმელის ანგარიშზე კი 12 ქულა დაგროვდა.

**სოხუმი-მგზავრები 62:94**
**(11:25, 16:34, 14:22, 21:13)**

მატჩი ვერ გამოდგა საინტერესო. სტუმართა გუნდი მოწოდების სიმაღლეზე იდგა და მატჩის ბედი პირველივე პერიოდში გაარკვია. საბოლოოდ კი რუსთაველებმა 94:62 მოიგეს და მომავალ ტურში ბათუმთან მატჩის წინ ოპტიმისტური განწყობა შეიქმნეს.

შეხვედრა მგზავრების გაქცევით დაიწყო. საწყისი 2 წუთის შემდეგ სტუმრები 10:0 დაწინაურდნენ და სოხუმელთა მწვრთნელმა მიხეილ კობეშავიძემ წუთშესვენება აიღო. ამან სოხუმს არ უშველა. რუსთაველებმა განაგრძეს დომინირება და პირველი პერიოდი 25:11 მოიგეს, ხოლო მეორე ათწუთეულში კი 34:16 იმარჯვეს და დიდი შესვენებისთვის 32 ქულით გალიდერდნენ.

პერიმეტრზე თუ სამწამიან ზონაში რუსთაველთა დომინაცია აშკარა იყო და მესამე პერიოდში სტუმართა უპირატესობამ 40 ქულას მიაღწია. შეხვედრის ბედიც გაირკვა და შეხვედრა ძირითადად სათადარიგოებმა ჩაამთავრეს.

საბოლოოდ რუსთაველებმა 32 ქულით იმარჯვეს, რაშიც მათ ადამ ბლეიზეკმა 27 ქულით, 9 მოხსნით და 5 პასით ულიდერა. 14 ქულა დააგროვა ტაირელ ნელსონმა, ხოლო რეზო ჩაჩანიძემ და ჯეკ კრუკმა შეხვედრა 12-12 ქულით დაასრულეს. სოხუმელთაგან 14 ქულით ანატოლი ჩელოვანი გამოირჩა, ხოლო მაიზერ რევაზაშვილმა 13 ქულა მოაგროვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 5 | 4 | 1 | 406-330 | 9 |
| 2.ქუთაისი | 5 | 4 | 1 | 413-392 | 9 |
| 3.დინამო | 4 | 4 | 0 | 350-268 | 8 |
| 4.რუსთავი | 5 | 3 | 2 | 440-401 | 8 |
| 5.ოლიმპი | 5 | 3 | 2 | 403-371 | 8 |
| 6.მგზავრები | 6 | 2 | 4 | 450-507 | 8 |
| 7.სოხუმი | 6 | 1 | 5 | 440-510 | 7 |
| 8.კაკტუსი | 4 | 2 | 2 | 285-327 | 6 |
| 9.დელტა | 6 | 0 | 6 | 445-526 | 6 |

# მოჭადრაკე ქალები მეორე ადგილს ინარჩუნებენ



საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე მიმდინარე ევროპის პირველობის მე-7 ტურში ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს – ამჟამად მათ ესპანეთის ნაკრები გაანადგურეს – 4:0.

თავიანთი პარტიები მოიგეს ნანა ძაგნიძემ, ნინო ბაციაშვილმა, ბელა ხოტენაშვილმა და სალომე მელიამ.

აღსანიშნავია, რომ ესპანელთა მესამე დაფაზე ანა მათნაძემ ითამაშა, რომელიც ხოტენაშვილთან დამარცხდა.

ქალთა ტურნირს 7 ტურის შემდეგ 13 ქულით რუსეთის ნაკრები ლიდერობს, ქულით ნაკლები აქვს ჩვენებს, ხოლო 10-10 ქულით 3-4 ადგილებს პოლონელები და თურქები ინაწილებენ.

მომდევნო ტურში ცენტრალური სწორედ ამ ოთხეულის შეხვედრა იქნება: თურქეთი-რუსეთი და პოლონეთი-საქართველო.

სამწუხაროდ, მეშვიდე ტურში თამაში არ წაუვიდათ ქართველ ვაჟებს და თურქებთან დათმეს მატჩი.

ბაადურ ჯობავამ, ლევან ფანცულაიამ და დავით ჯოჯუამ ყაიმები ითამაშეს. ერთადერთი მარცხი ლუკა პაიჭაძეს შეემთხვა.

ფინიშამდე 2 ტურით ადრე ვაჟთა ჩემპიონატს რუსეთი ლიდერობს 12 ქულით, ერთი ქულით ნაკლები აქვს აზერბაიჯანს, ხოლო 10-10 ქულით 3-4 ადგილებს: უნგრეთი და უკრაინა ინაწილებენ.

საქართველოს ნაკრები კი მე-18 ადგილზეა და მორიგ ტურში ესპანელებს შეხვდებიან, რომელთაც ჩვენებზე ქულით მეტი აქვთ.

## შედეგები

### 4 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სტოკი-ლესტერი ... 2:2
ჰადერსფილდი-ვესტ ბრომვიჩი ... 1:0
ნიუკასლი-ბორნმუთი ... 0:1
საუთჰემპტონი-ბარნლი ... 0:1
სუონსი-ბრაიტონი ... 0:1
ვესტ ჰემი-ლივერპული ... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 10 | 9 | 1 | 0 | 35-6 | 28 |
| 2.მანჩესტერი | 10 | 7 | 2 | 1 | 23-4 | 23 |
| 3.ტოტენჰემი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-7 | 20 |
| 4.ჩელსი | 10 | 6 | 1 | 3 | 18-10 | 19 |
| 5.არსენალი | 10 | 6 | 1 | 3 | 19-13 | 19 |
| 6.ლივერპული | 11 | 5 | 4 | 2 | 21-17 | 19 |
| 7.ბარნლი | 11 | 5 | 4 | 2 | 10-9 | 19 |
| 8.ბრაიტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-11 | 15 |
| 9.უოტფორდი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-18 | 15 |
| 10.ჰადერსფილდი | 11 | 4 | 3 | 4 | 8-13 | 15 |
| 11.ნიუკასლი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-10 | 14 |
| 12.ლესტერი | 11 | 3 | 4 | 4 | 16-16 | 13 |
| 13.საუთჰემპტონი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-11 | 13 |
| 14.სტოკი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-22 | 12 |
| 15.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 2 | 4 | 5 | 9-14 | 10 |
| 16.ბორნმუთი | 11 | 3 | 1 | 7 | 7-14 | 10 |
| 17.ვესტ ჰემი | 11 | 2 | 3 | 6 | 11-23 | 9 |
| 18.სუონსი | 11 | 2 | 2 | 7 | 7-13 | 8 |
| 19.ევერტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 7-20 | 8 |
| 20.კრ.პალასი | 10 | 1 | 1 | 8 | 4-21 | 4 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრისტოლი-კარდიფი ... 2:1
ასტომ ვილა-უენსდი ... 1:2
ბარნსლი-ბირმინგემი ... 2:0
ბოლტონი-ნორვიჩი ... 2:1
დერბი-რედინგი ... 2:4
იფსვიჩი-პრესტონი ... 3:0
მილუოლი-ბარტონი ... 0:1
ნოტინგემი-ქპრ ... 4:0
შეფილდი-ჰალი ... 4:1
ბრენტფორდი-ლიდსი ... 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-ლეგანესი ... 3:0
დეპორტივო-ატლეტიკო ... 0:1
ალავესი-ესპანიოლი ... 1:0
ბარსელონა-სევილია ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 11 | 10 | 1 | 0 | 30-4 | 31 |
| 2.ვალენსია | 11 | 8 | 3 | 0 | 30-11 | 27 |
| 3.ატლეტიკო | 11 | 6 | 5 | 0 | 16-6 | 23 |
| 4.რეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-9 | 20 |
| 5.სევილია | 11 | 6 | 1 | 4 | 12-11 | 19 |
| 6.ვილიარეალი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-11 | 17 |
| 7.ბეტისი | 11 | 5 | 2 | 4 | 21-20 | 17 |
| 8.ლეგანესი | 11 | 5 | 2 | 4 | 9-8 | 17 |
| 9.სოსიედადი | 10 | 4 | 2 | 4 | 21-20 | 14 |
| 10.ხეტაფე | 11 | 3 | 4 | 4 | 15-13 | 13 |
| 11.ესპანიოლი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-13 | 13 |
| 12.ლევანტე | 10 | 2 | 6 | 2 | 11-13 | 12 |
| 13.ხირონა | 10 | 3 | 3 | 4 | 11-15 | 12 |
| 14.სელტა | 10 | 3 | 2 | 5 | 19-16 | 11 |
| 15.ბილბაო | 10 | 3 | 2 | 5 | 10-12 | 11 |
| 16.დეპორტივო | 11 | 3 | 2 | 6 | 13-20 | 11 |
| 17.ეიბარი | 10 | 2 | 2 | 6 | 5-22 | 8 |
| 18.ალავესი | 11 | 2 | 0 | 9 | 5-16 | 6 |
| 19.ლას პალმასი | 10 | 2 | 0 | 8 | 8-25 | 6 |
| 20.მალაგა | 10 | 1 | 1 | 8 | 6-21 | 4 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რაიო-ალბასეტე ... 1:1
სევილია ბ-ტენერიფე ... 1:1
ლორკა-კორდობა ... 1:0
რეუსი-ხიხონი ... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ბაიერი ... 1:1
გლადბახი-მაინცი ... 1:1
ფრაიბურგი-შალკე ... 0:1
ჰამბურგი-შტუტგარტი ... 3:1
ლაიპციგი-ჰანოვერი ... 2:1
დორტმუნდი-ბაიერნი ... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 11 | 8 | 2 | 1 | 27-8 | 26 |
| 2.ლაიპციგი | 11 | 7 | 1 | 3 | 18-13 | 22 |
| 3.დორტმუნდი | 11 | 6 | 2 | 3 | 28-14 | 20 |
| 4.შალკე | 11 | 6 | 2 | 3 | 14-10 | 20 |
| 5.ჰანოვერი | 11 | 5 | 3 | 3 | 15-11 | 18 |
| 6.აინტრახტი | 11 | 5 | 3 | 3 | 13-11 | 18 |
| 7.გლადბახი | 11 | 5 | 3 | 3 | 17-19 | 18 |
| 8.ლევერკუზენი | 11 | 4 | 4 | 3 | 23-16 | 16 |
| 9.აუგსბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 16-11 | 16 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 10 | 4 | 4 | 2 | 17-14 | 16 |
| 11.ჰერტა | 10 | 3 | 4 | 3 | 11-12 | 13 |
| 12.შტუტგარტი | 11 | 4 | 1 | 6 | 10-14 | 13 |
| 13.მაინცი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-17 | 12 |
| 14.ვოლფსბურგი | 10 | 1 | 7 | 2 | 10-13 | 10 |
| 15.ჰამბურგი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-18 | 10 |
| 16.ფრაიბურგი | 11 | 1 | 5 | 5 | 6-21 | 8 |
| 17.ვერდერი | 11 | 0 | 5 | 6 | 4-14 | 5 |
| 18.კიოლნი | 10 | 0 | 2 | 8 | 4-19 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-დარმშტადი ... 2:2
უნიონი-ზ.პაული ... 1:0
რეგენსბურგი-ფიურტი ... 3:2

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-კროტონე ... 2:3
ჯენოა-სამპდორია ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 11 | 10 | 1 | 0 | 32-8 | 31 |
| 2.ინტერი | 11 | 9 | 2 | 0 | 22-8 | 29 |
| 3.იუვენტუსი | 11 | 9 | 1 | 1 | 33-10 | 28 |
| 4.ლაციო | 11 | 9 | 1 | 1 | 31-12 | 28 |
| 5.რომა | 10 | 8 | 0 | 2 | 17-5 | 24 |
| 6.სამპდორია | 11 | 7 | 2 | 2 | 24-13 | 23 |
| 7.ფიორენტინა | 11 | 5 | 1 | 5 | 19-13 | 16 |
| 8.მილანი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-16 | 16 |
| 9.ტორინო | 11 | 4 | 4 | 3 | 16-18 | 16 |
| 10.ატალანტა | 11 | 4 | 3 | 4 | 18-15 | 15 |
| 11.კიევო | 11 | 4 | 3 | 4 | 14-19 | 15 |
| 12.ბოლონია | 12 | 4 | 2 | 6 | 11-15 | 14 |
| 13.უდინეზე | 11 | 4 | 0 | 7 | 18-22 | 12 |
| 14.კროტონე | 12 | 3 | 3 | 6 | 11-23 | 12 |
| 15.კალიარი | 11 | 3 | 0 | 8 | 9-20 | 9 |
| 16.სპალი | 11 | 2 | 2 | 7 | 9-19 | 8 |
| 17.სასუოლო | 11 | 2 | 2 | 7 | 6-19 | 8 |
| 18.ვერონა | 11 | 1 | 3 | 7 | 7-24 | 6 |
| 19.ჯენოა | 12 | 1 | 3 | 8 | 10-19 | 6 |
| 20.ბენევენტო | 11 | 0 | 0 | 11 | 4-29 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-ვენეცია ... 1:2
ენტელა-ჩეზენა ... 2:2
კარპი-ასკოლი ... 4:2
ნოვარა-პრო ვერჩელი ... 0:1
სალერნიტანა-ბარი ... 2:2
ფოჯა-კრემონეზე ... 2:3
პროსინონე-პარმა ... 2:1
ჩიტადელა-ტერნანა ... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ანჟე-პსჟ ... 0:5
მონაკო-გენგამი ... 6:0
მონპელიე-ამიენი ... 1:1
ნანტი-ტულუზა ... 2:1
ტრუა-სტრასბურგი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 12 | 10 | 2 | 0 | 39-8 | 32 |
| 2.მონაკო | 12 | 9 | 1 | 2 | 34-12 | 28 |
| 3.ნანტი | 12 | 7 | 2 | 3 | 11-9 | 23 |
| 4.ლიონი | 11 | 6 | 4 | 1 | 27-15 | 22 |
| 5.მარსელი | 11 | 6 | 3 | 2 | 21-17 | 21 |
| 6.სტ.ეტიენი | 11 | 5 | 3 | 3 | 13-10 | 18 |
| 7.კაენი | 11 | 6 | 0 | 5 | 8-8 | 18 |
| 8.მონპელიე | 12 | 4 | 4 | 4 | 9-8 | 16 |
| 9.ბორდო | 12 | 4 | 4 | 4 | 16-18 | 16 |
| 10.რენი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-15 | 15 |
| 11.ტრუა | 12 | 4 | 3 | 5 | 12-15 | 15 |
| 12.ტულუზა | 12 | 4 | 3 | 5 | 12-17 | 15 |
| 13.გენგამი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-21 | 14 |
| 14.ანჟე | 12 | 2 | 7 | 3 | 16-19 | 13 |
| 15.დიჟონი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-20 | 12 |
| 16.ამიენი | 11 | 3 | 2 | 6 | 7-13 | 11 |
| 17.ნიცა | 11 | 3 | 1 | 7 | 13-19 | 10 |
| 18.სტრასბური | 12 | 2 | 4 | 6 | 13-23 | 10 |
| 19.ლილი | 10 | 1 | 3 | 6 | 6-15 | 6 |
| 20.მეცი | 11 | 1 | 0 | 10 | 5-21 | 3 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანსი-ლანსი ... 1:1

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ალკმაარი-ტილბურგი ... 3:2
ექსელსიორი-როდა ... 1:0
ერაკლესი-გრონინგენი ... 2:1
ვენლო-ბრედა ... 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-პორტიმორენშე ... 1:1
ტონდელა-ბოავიშტა ... 3:2
ეშტორილი-რიუ ავე ... 0:2
პორტუ-ბელენენსეში ... 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტოსნო-კრასნოდარი ... 1:3
ახმატი-როსტოვი ... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ლოზანა ... 2:0
სიონი-ციურიხი ... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.ჯონსონი-სელტიკი ... 0:4
ჰამილტონი-აბერდინი ... 2:2
რეინჯერსი-პარტიკი ... 3:0
როსი-მოზერველი ... 3:2
ჰიბერნიანი-დანდი ... 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-რაპიდი ... 0:0
ადმირა-ვოლფსბერგერი ... 0:0
ალტახი-ლინცერი ... 2:4

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენკი-ლოკერენი ... 0:0
მეხელენი-კორტრაიკი ... 2:0
სტ.ტრუიდენი-ეუპენი ... 4:4
ბევერენი-მუსკრონი ... 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-ქსანთი ... 1:3
ატრომიტოსი-პანიონიოსი ... 0:0
ასტერასი-პანათინაიკოსი ... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ტრაბზონი ... 0:0
ქაშიმფაშა-ბურსა ... 2:2
ანთალია-ქარაბუქი ... 2:1
ოსმანლი-ფენერბახჩე ... 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-ბოლესლავი ... 0:1
იიჰლავა-ლიბერეცი ... 3:1
დუკლა-კარვინა ... 3:2
ტეპლიცე-სლოვაცკო ... 3:0
ბოჰემიანსი 1905-სიგმა ... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-იაგელონია ... 1:2
ვისლა-სანდეცია ... 3:0
გურნიკი-ლეხი ... 3:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვერესი-ზვეზდა ... 0:0
ოლექსანდრია-ჩერნომორეცი ... 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ლუნგბიუ ... 2:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიოლდე-კრისტიანსუნი ... 0:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

**პლეი აუტი**

ჰიფკი-ჰონკა ... 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# კოლხეთმა მოგების გემო გაიხსენა. შუქურა შანსს ინარჩუნებს

**ლოკომოტივი-შუქურა 2:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 მარსელინიო (19), 1:1 რეხვიაშვილი (26), 1:2 ჯეფინიო (57), 2:2 დიასამიძე (72)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, სიხარულიძე, ნ.ქავთარაძე, დიასამიძე (გაბრიჩიძე 52), გოროზია (გვალია 51), არველაძე (სილაგაძე 65), გაბაძე, კობახიძე, ქურდაძე, რეხვიაშვილი, სამურკასოვი

**შუქურა:** სომხიშვილი, პომაზანი, ჩაგელიშვილი, ჯეფინიო, კლიმიაშვილი, მარსელინიო (ართმელაძე 77), ა.გურული, ჰან ტიანლინი (შალამბერიძე 52), კახელიშვილი, დასე, გოგიტიძე

სხვადასხვა ამბიციის მქონე გუნდების მატჩი საინტერესო გამოდგა. ლოკომოტივი ორჯერ აგებდა, მაგრამ გათანაბრება ორივე შემთხვევაში მოახერხა. საერთოდ, შუქურამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აუტსაიდერთა შორის გამოირჩეოდნენ ბრაზილიელები – მარსელინიო და ჯეფინიო. სწორედ მათი კარგი თამაშით გაიხსნა, ჯეფინიომ საგოლე პასი გაუკეთა მარსელინიოს, რომელმაც მახვილი კუთხიდან გაიტანა – 0:1.



გოლამდეც და გოლის მერეც შუქურას შეეძლო გატანა: მარსელინიოსა და კლიმიაშვილს თევდორაძემ აუღო, სანდრო გურულის პირისპირ გასვლის შემდეგ კი თევდორაძემ გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა.

ლოკომოტივის გოლიც შუქურას შეტევის დამსახურებაა: ქობულეთელთა სახიფათო კონტრშეტევა მცველებმა ჩაშალეს, შუქურას მცველები შეტევიდან დაცვაში დროულად ვერ დაბრუნდნენ და გიორგი რეხვიაშვილმა მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა კარისკენ – 1:1.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ გოლი აღარ გასულა.

57-ე წუთზე შუქურა კიდევ ერთხელ დაწინაურდა. სტუმრებმა სტანდარტული მდგომარეობა გამოიყენეს, გოლი ამჯერად მეორე ბრაზილიელმა ლეგიონერმა ჯეფინიომ გაიტანა.

65-ე წუთზე დევდარიანმა თამაშში 18 წლის ნახევარმცველი ლუკა სილაგაძე ჩართო. ლოკოს დებიუტანტმა ვატო არველაძე შეცვალა. ზუსტად 7 წუთში, სილაგაძემ საგოლე პასი შეასრულა, რომლის შემდეგ თავი გეგა დიასამიძემ გამოიჩინა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

დიასამიძემ ლოკოს ისტორიაში მე-600, საიუბილეო გოლი გაიტანა.

**კოლხეთი-დილა 1:0**

**ფოთი. პარკი არენა**

1:0 ბროვკო (43)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, გ.კილასონია (შალიკაშვილი 84), გურეშიძე, გოგონაია, ნონდი, ბროვკო, დერებჩინსკი, ჯანელიძე (ბოლქვაძე 69), ჟიშკარიანი, მაჩარია, ბუხაიძე (ბახია 76)

**დილა:** ბეგაშვილი, მორასი (ჰეიფორდი 77), მაჩაიძე, კვახაძე, სოფრომაძე (წიქარიძე 46), პაპავა, პედრინიო (გოგატიშვილი 52), ძარია, კირკიტაძე, ნონიკაშვილი, მოდებაძე.

ფოთის კოლხეთმა 18-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. უკრაინელმა ლეგიონერმა, იგორ ბროვკომ „კედელი" მეორე უკრაინელ ალექსანდრ დერებჩინსკისთან გაითამაშა და, საჯარიმოში შეჭრილმა, გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა – 1:0.

ფოთელებს მთელი სეზონი ასე რომ ეთამაშათ, იქნებ ელიტაში დარჩენის საქმე სათუოდ არც გაეხადათ. ჯონ მაჩარიას, დერებჩინსკის, გიორგი ბუხაიძეს, გიორგი ჯანელიძეს ჯერ კიდევ გოლამდე ჰქონდათ მომენტები.

კოლხეთმა მომენტი საკუთარ კართანაც შექმნა, როდესაც ლაშა გოგონაიას ბურთი აეჭრა და მასპინძლები კოკა სეფიაშვილმა იხსნა.

გორელებს ანგარიშის გათანაბრება მეორე ტაიმის დასაწყისში შეეძლოთ, როდესაც ირაკლი მოდებაძე ცდილობდა გატანას, მაგრამ ბურთი კარს გადააცილა.

შემდეგ დერებჩინსკისა და თამაზ შალიკაშვილს ჰქონდათ 2 კარგი მომენტი, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 32 | 21 | 5 | 6 | 74-28 | 68 |
| 2.ტორპედო | 32 | 19 | 7 | 6 | 51-26 | 64 |
| 3.სამტრედია | 32 | 18 | 7 | 7 | 50-33 | 61 |
| 4.საბურთალო | 32 | 16 | 5 | 11 | 56-38 | 53 |
| 5.ლოკომოტივი | 33 | 16 | 5 | 12 | 60-45 | 53 |
| 6.ჩიხურა | 32 | 14 | 4 | 14 | 39-50 | 46 |
| 7.დილა | 33 | 10 | 7 | 16 | 37-47 | 37 |
| 8.დინამო (ბთ) | 32 | 10 | 3 | 19 | 26-50 | 33 |
| 9.კოლხეთი | 33 | 5 | 8 | 20 | 29-63 | 23 |
| 10.შუქურა | 33 | 3 | 9 | 21 | 33-75 | 18 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ლიტერატურა

# გაბრიელ ტანიე: „ქანაანის შვილები" სოფელ არგვეთაში დავიწყე და ბარსელონაში დავასრულე"

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ლი", მარკესის „12 მოხეტიალე მოთხრობა" და რომანი „სიყვარულსა და სხვა დემონებზე", პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო"...

***– თქვენი აზრით, აქვს თუ არა ლიტერატურას მიზანი და თუ აქვს, რა შეიძლება იყოს ის? რა მიგაჩნიათ ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების ძირითად საზომად?***

– მიზანი გულწრფელობა უნდა იყოს. მთავარი ესაა. გულწრფელობიდან გულწრფელობამდე. თუმცა არა, მიზანი არ მინდა, რომ იყოს – მაშინ უკვე კონსტიტუცია იქნებოდა. არ ვარგა ჩარჩოებში ჩაჯდომა. ლიტერატურის ჩარჩოში მოქცევა არ შეიძლება. მაშინ ღმერთი თავიდანვე ეტყოდა ადამსა და ევას, კარგად უნდა მოიქცეთო, თავიდანვე მისცემდა მიზანს, ეტყოდა, მარტო ჩემი გზა არსებობსო. მაგრამ ასე არ მოხდა, მათ არჩევანი მიეცათ და თავისუფლება. ლიტერატურაც ასეა, მე ასე მგონია.

**პერსონაჟებიც არცერთი არ გამჭირვებია – მოდიოდნენ და მოდიოდნენ, თავზე მახტებოდნენ: ახლა მე დამწერე, ახლა ჩემზე დაწერეო. ძლივს ვაკავებდი.**

რაც შეეხება ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების საზომს, ესაა ფიქრი და განწყობა. უნდა შემძრას, შემცვალოს, დამაფიქროს. ზემოთ ჩამოთვლილმა წიგნებმა სწორედ ეს შეძლეს – შემცვალეს, წიგნი დამაწერინეს. უკეთესობისკენ შეცვლას არ ვგულისხმობ მხოლოდ, მთავარი ცვლილებაა, ძალის წართმევა კი არა, პირიქით – ადამიანისათვის ძალის შემატება. თუმცა, რაც ჩეხოვს მოაქვს, იგივე არ მოაქვს დოსტოევსკის. ყველას თავისი არჩევანი აქვს და შესაბამისად – გავლენაც. ჩეხოვი ჩემია, და საერთოდ, ჩემი აზრით, ჩეხოვის წიგნები აფთიაქში უნდა იყიდებოდეს.

***– თქვენს რომანში ვხვდებით სხვადასხვა კონფესიის ადამიანებს; ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ერთგვარი სიჭრელე და მრავალფეროვნებაა. ეს რამე კონცეპტის მხატვრული რეალიზებაა?***

– თავისთავად მოვიდა ეს ყველაფერი, პერსონაჟებმა მოითხოვეს ასე. ფეიერვერკივით იყო რაღაც წერის დროს და მეც წინ აღარ აღვუდექი, არ მოვაქციე ჩარჩოში. როგორც მოვიდა, ისე გადმოვეცი. დათო ტურაშვილმა მითხრა, ეს მისტიკაა, როგორც გეწერება, ისე უნდა დაწეროო. მეც ასე მოვიქეცი.

***– რატომ გადაწყვიტეთ რომანისათვის პირადი დღიურის წამძღვარება? ბარსელონაში მოგზაურობის ეპიზოდში თქვენ გამოგონილი ავტორი – დიეგო შემოგყავთ. ეს თქვენთვის მწერლური ტექნიკის ნაწილი იყო თუ რეალობისგან ერთგვარი გაქცევა ვირტუალურ სამყაროში, რომელსაც თქვენთვის თერაპიული ეფექტი ჰქონდა?***

– პასუხი თქვენს კითხვაშივეა, თერაპიული ეფექტია მართლაც. წიგნი უნდა დამეწერა, ეს აუცილებლად უნდა გამეკეთებინა, თორემ... მე თვითონაც არ ვიცი, როგორ ავხსნა ჩემი მდგომარეობა, როგორ ვგრძნობდი თავს, სანამ დავწერდი.

დიეგოს რაც შეეხება, ჯერ ალფრედო მინდოდა მისთვის დამერქმია. მერე მართლა ვიპოვე პორტუგალიელი მეკობრე დიეგო სუარეშ დი მელუ. სადღაც წავაწყდი ინფორმაციას მის შესახებ. ძველი რუსი ისტორიკოსის წიგნში ამოვიკითხე და იქიდან დამამახსოვრდა. დიეგო ნორულ ისლამის ფსევდონიმია. მან დაირქვა მაშინ, როცა გამოერიდა დიქტატურას და ევროპაში გადმოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ ნორულ ისლამი – ეს მე ვარ.

***– რომანზე მუშაობისას რომელი ეტაპი აღმოჩნდა თქვენთვის განსაკუთრებით რთული? რომელი პერსონაჟის სახის დამუშავება გაგიძნელდათ ყველაზე მეტად?***

რთული პერიოდი საერთოდ არ ყოფილა. პირიქით, მთელი წიგნი იწერებოდა სიხარულითა და აღმაფრენით. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი და რა სიტუაციაშიც არ უნდა მეწერა – სულ ბედნიერი ვიყავი. ნიკო ფიროსმანი რომ ამბობდა, წმიდა გიორგი თავზე მადგას და მეძახის, დახატე, ნიკალა, დახატეო, ზუსტად მსგავს სიტუაციაში ვიყავი. პერსონაჟებიც არცერთი არ გამჭირვებია – მოდიოდნენ და მოდიოდნენ, თავზე მახტებოდნენ: ახლა მე დამწერე, ახლა ჩემზე დაწერეო. ძლივს ვაკავებდი.

***– რა კითხვაზე გინდოდათ გეპასუხათ, მაგრამ ამ კითხვას არავინ გისვამთ?***

– საერთოდ არავის არაფერი უკითხავს, ეს პირველი ინტერვიუა წიგნის დაწერის შემდეგ. არ მიყვარს შეკითხვები. ახლაც, ჩემს წიგნზე რომ ვლაპარაკობ, ძალიან მრცხვენია.

***– ბოლო, ბანალური კითხვა უნდა დაგისვათ. ამჟამად თუ მუშაობთ ახალ ტექსტზე? არის თუ არა თემა, პრობლემა, საკითხი, რომელზეც გსურთ დაწეროთ?***

– დიახ, ამჟამად ახალ წიგნზე ვმუშაობ. „პელაგიას სახარება" – ასე ჰქვია რომანს, რომლის მოქმედება რუსეთის ერთ-ერთ პროვინციაში ვითარდება. საინტერესო ამბავია, სიუჟეტიც, შესაძლოა, მოქმედი გმირის – პელაგიას სახელი შევცვალო, მაგრამ...

**ესაუბრნენ მარიკა ბაკურაძე და გვანცა მგალობლიშვილი**

# ასტროპროგნოზი 6 ნოემბერი



**ვერძი** – ახალი საქმის დაწყება გაგიჭირდებათ. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით და პრიორიტეტები გამოყავით. **კურო** – სურვილი გაქვთ, რაღაც შეცვალოთ, მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. მცირეოდენი ყურადღება დაუთმეთ ნათესავებსა და ახლობლებსაც. **ტყუპები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ნუ დაწვრილმანდებით. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **კირჩხიბი** – ცრუ განგაშს არ აჰყვეთ. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე და სიკეთე დღის დევიზია. **ლომი** – წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში. მეგობრის რჩევა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ. **ქალწული** – ახალი საქმე თქვენგან ენერგიასა და ნებისყოფას მოითხოვს. ამიტომ უმჯობესია, თუ ჯერ ძველ საქმეებს დაამთავრებთ. **სასწორი** – ცოტა დაბნეული ხართ. გაარკვიეთ კონფლიქტის მიზეზები და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. წარმატების მიღწევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, მაგრამ მათ გადალახავთ. **მშვილდოსანი** – შესაძლოა თქვენი პირდაპირობის გამო გარშემომყოფებთან ურთიერთობა გაგიმწვავდეთ. იყავით დიპლომატიური. **თხის რქა** – ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **მერწყული** – იღბალი თქვენ მხარესაა. გადაწყვეტილების მიღებისას სწორ გზას ადგახართ. **თევზები** – მოტყუების ალბათობა დიდია. ზედმეტი მიმნდობლობა და წინდაუხედაობა დაგაზარალებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# სკანვორდი



1. ნიავი; 2. გამოუწვავი აგური; 3. აბრეშუმის ან შალის მკვრივი ქსოვილი; 4. რუმინული ფული; 5. დიდი წარმატება, გამარჯვება; 6. ოსური ცეკვა; 7. სახლ-კარი ლათინურ ამერიკაში; 8. ვანესა ...; 9. ზეგანი; 10. წელიწადის დრო; 11. ქართული გაზეთი; 12. ნაკურთხი წყალი; 13. ლითონის დახურული ჭურჭელი გაზისთვის; 14. ფინელი ენათმეცნიერი (1873-1950); 15. ჯუჯა კამეჩი; 16. კონკრეტულ დიალექტზე დაფუძნებული საერთო-სახალხო ენა; 17. ნაბიჯი ბალეტში; 18. მუსლიმანთა ლოცვა, დღეში ხუთჯერადი; 19. აეროპორტი პარიზში; 20. ქალაქის დიდი ბალი სხვადასხვა გასართობებით; 21. მცირე არია; 22. მიწის სახვნელი ძველებური იარაღი; 23. რწმენა, თვალსაზრისი; 24. თვალის ... ანუ მხედველობა; 25. პროტესტანტების მღვდელი; 26. წვრილი ნაკეცები ტანსაცმელზე; 27. სამორინე; 28. უმაღლესი წოდებულება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 29. მესამე ნოტი; 30. სანელებელი; 31. იტალიის ტელეარხი; 32. მატერია ანუ ...; 33. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი; 34. აზრი, ჩანაფიქრი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაზუისტიკა; 2. რადონი; 3. თურინჯი; 4. ხირსა; 5. კლირინგი.; 6. „ვოლვო"; 7. „ჰილტონი"; 9. ფაველა; 13. ლოიდი; 17. ელია; 18. ჩაი.

**თარაზულად:** 1. კაიზერი; 3. თაბახი; 8. ილიონი; 10. ბოქსიტი; 11. ფიჭვი; 12. ჩამპინო; 14. იტალია; 15. ხრიდოლი; 16. „გუელი"; 19. მადერა; 20. ჰარლემი; 21. ახტალა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქედანი; 2. „ფინო"; 3. ლაფონტენი; 4. ლარგო; 5. ნეოლითი; 8. ლუსონი; 9. „მაკნატუნა"; 12. ლეკები; 14. ოქსინო; 16. აიეტი.

**თარაზულად:** 1. ქლოროფილი; 6. გაბრიაძე; 7. დუბლინი; 9. მადონა; 10. დოჟი; 11. მოზაიკა; 13. ფხოვი; 15. ტეკილა; 17. დიონისე; 18. „ხეტაფე"; 19. დისნეი; 20. ლიტანია.

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე იუნესკოს ღონისძიებათა სიაშია

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე იუნესკოს 2018 წლის ღონისძიებათა სიაშია.

გადაწყვეტილება პარიზში უკვე მიიღეს. ეს გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ პარიზში გენერალური კონფერენციის 39-ე სესიაზე მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით მიიღო. 1956 წლიდან იუნესკო აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ისტორიული მოვლენების აღნიშვნაში, რაც, თავის მხრივ, ამ მოვლენებს მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს.

ინფორმაცია ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძემ პარიზიდან სატელეფონო ინტერვიუში დაუდასტურა. მინისტრის მოადგილე პარიზში იუნესკოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას პირადად ესწრებოდა:

– საქართველოს მიერ წარდგენილი ნომინაცია „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავი“ სხვა ქვეყნებიდან წარდგენილ ნომინაციებთან ერთად განიხილებოდა იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მთელი ქვეყნის მასშტაბითა და საერთაშორისო დონეზე დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის შექმნილია სპეციალური სამთავრობო კომისია, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შედიან მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები 2017 წლის დეკემბერში დაიწყება და ეს სიმბოლურია, რადგან 1917 წლის დეკემბერში დამტკიცდა თსუ-ის წესდება და მთელი მომდევნო წლის განმავლობაში გაგრძელდება.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც ქართულ ენაზე სწავლებითა და ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას, 1918 წლის 26 იანვარს, ახალი სტილით, 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა.

100 წლის იუბილეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხვდება, როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც ყოველწლიურად 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება და 22.000-მდე ქართველი და 600-მდე უცხოელი სტუდენტი სწავლობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უნივერსიტეტია არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში, რომელიც 2018 წლის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში შედის.

თსუ-ში დღეისთვის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებთან ერთად უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკატო პროგრამები ხორციელდება. უცხოეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს გაცვლით და ერთობლივ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში და მოიპოვოს ორმაგი აკადემიური ხარისხი.

## დუტა სხირტლაძემ პედაგოგობა დაიწყო



მსახიობმა და ტელეწამყვანმა დუტა სხირტლაძემ პედაგოგობა დაიწყო და ამით საკუთარ თავს ახალი გამოწვევა შესთავაზა.

კინომსახიობთა თეატრის მსახიობ გოგა პიპინაშვილის მიერ დაარსებულ ხელოვნების ცენტრ „არტ ჰოლში“ დუტამ ჯგუფის აყვანა გადაწყვიტა და 12-დან 15 წლამდე მოზარდებს თეატრს, კინოსა და სატელევიზიო შოუების წამყვანის პროფესიას შეასწავლის.

როგორც მსახიობმა განმარტა, შესარჩევი კონკურსი კინომსახიობთა თეატრში გაიმართება და გოგა პიპინაშვილი და დუტა სხირტლაძე მსურველებიდან საუკეთესოებს შეარჩევენ.

## სუხიშვილების უმცროსმა თაობამ პრაღაში გრანპრი მოიპოვა



ანსამბლ სუხიშვილების უმცროსმა თაობამ პრაღაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე უმაღლესი ჯილდო – გრანპრი მოიპოვა.

სუხიშვილების ანსამბლის ბაზაზე არსებულმა ბავშვთა აკადემიურმა სტუდიამ პირველობა არავის დაუთმო და ბროლის თასი დაიმსახურა.

ინფორმაცია სუხიშვილების უმცროსი თაობის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– როგორც ყოველთვის, სუხიშვილები საუკეთესოები ვართ! სუხიშვილების პატარა თაობის საკონცერტო ჯგუფის დიდი წარმატება საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე პრაღაში. „აბსოლუტური გრანპრის მფლობელები“.

## „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ პირველმა ქეთი გუგულაშვილმა დატოვა



მუსიკალურმა შოუმ „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ მეორე კონცერტი გამართა. მუსიკალურ პროექტში მონაწილეობისთვის ორგანიზატორებმა 10 კონკურსანტი შეარჩიეს – გიგი ცირამუა, მანანიკო ცენტერაძე, ქეთი გუგულაშვილი, სანდრო კახიძე, თაზო გარსიძე, ლუკა გოგიბერიძე, ლაშა გუჯაბიძე, თათული ჩიხლაძე, მარიამ კოტრიკაძე, ლიზა კალანდაძე.

პირველი კონცერტი გაცნობითი ხასიათის იყო, ამიტომ არავინ გავარდნილა. ჟიურის წევრებმა ნატო მეტონიძემ, რობი კუხიანიძემ, ნინა სუბლატმა და ლევან წულაძემ კონკურსანტები შეაფასეს და საკუთარი აზრი გამოთქვეს.

მეორე კონცერტი საკონკურსო იყო და ლიდერი მანანიკო ცენტერაძე გახდა. პროექტიდან გავარდნის კანდიდატები კი გახდნენ სანდრო კახიძე და ქეთი გუგულაშვილი. მაყურებლის გადაწყვეტილებით კი პროექტი ქეთი გუგულაშვილმა დატოვა.

„ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ მომავალ საკონკურსო დღეს კიდევ ერთ მონაწილეს დაემშვიდობება.

## სოფია მჭედლიშვილისთვის ჯულიეტას არიის შესრულება ხელის თხოვნით დასრულდა



ახალგაზრდა ქართველი ოპერის მომღერლის სოფია მჭედლიშვილისთვის განსაკუთრებული აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობა.

იტალიაში მოღვაწე სოფიამ მსმენელისთვის ჯულიეტას არია ბრწყინვალედ შეასრულა. მაყურებლის აპლოდისმენტებით გახარებულ მომღერალს სცენაზე ოთო აბრამიშვილი გამოეცხადა, რომელმაც სახალხოდ დაუჩოქა, ბეჭედი გაუწოდა და ხელი სთხოვა.

სოფიამ წინადადებას თანხმობით უპასუხა და წყვილმა დარბაზში შეკრებილი მაყურებლის მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

## გიორგი ნაკაშიძე სითი პარკმა გააბრაზა



კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გიორგი ნაკაშიძე იმ ადამიანების მრავალრიცხოვან არმიას შეუერთდა, რომლებიც სითი პარკმა გააბრაზა:

– მაპატიეთ ასეთი ემოციურობისათვის, მაგრამ მე იმ სახელმწიფოს ყველაფერი მოვხან, რომელსაც ამდენი წელია, ისეთი ნაბიჭვარი ორგანიზაცია ჰყავს, კორუფციისა და უსამართლობის ბუდე, როგორიც „სითი პარკია“, თავისი ნაბიჭვარი მფლობელებით, ვინც იყო, არის და იქნება! რალაცით უკვე ქვეყნის სიაბანდი, უბადრუკი სახე გახდა!“

## ბაჩანა ბრეგვაძის შვილი მერიის კულტურის სამსახურისგან შეურაცხყოფისთვის ბოდიშს ითხოვს



მწერლისა და მთარგმნელის ბაჩანა ბრეგვაძის შვილი ანი ბრეგვაძე მერიის კულტურის სამსახურისგან შეურაცხყოფისათვის, დეზინფორმაციისა და უპასუხისმგებლობისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვს.

ამის მიზეზი მერიის კულტურის სამსახურის მიერ გამოცემული წიგნი საპატიო თბილისელებია, სადაც ბაჩანა ბრეგვაძის ფოტოს ნაცვლად რენე კალანდიას ფოტოა დაბეჭდილი.

**ანი ბრეგვაძე:**

– მეგობრებო, იურისტებო, ადამიანებო, მირჩიეთ, როგორ შეიძლება, ადამიანმა მერიის კულტურის სამსახურს ოფიციალური ბოდიში მოახდევინოს შეურაცხყოფისათვის, დეზინფორმაციისა და უპასუხისმგებლობისთვის, როდესაც თვითონ აყოვნებს ან არ დგამს შეცდომის გამოსწორებისკენ ნაბიჯს?

ფოტოზე რენე კალანდიაა... ტექსტი??? რა ტექსტია ეს??? გარდა ამ სულელური ნაჟღურტულევისა, ფაქტებია არასწორი. არც ქუჩისთვის მიუნიჭებია არავის მამაჩემის სახელი და არც რევაზ თვარაძეა ირაკლი აბაშიძის სიძე, და რომც ყოფილიყო, სიძედ მოხსენიება შეურაცხყოფაა ამხელა დამსახურების პიროვნებისთვის.

პ.ს. მერიის კულტურის სამსახურმა!!! გამოსცა ფასით ძვირი ტონანახევრიანი ალბომი. ნეტამც არ გამოეცა. როცა ეს წიგნი ხელში დავიჭირე, მანუგეშეს მორიდებით, მარტო თქვენთან არაა შეცდომებიო... მაგ. ოთარ რამიშვილის გვერდზე ოთარის ნაცვლად... ზურა მანჯავიძე ოთარის როლში... გია ჯაფარიძის გვერდზე ტექსტს ვინ ჩივის, სხვა მოქანდაკის სკულპტურებია...

დროში ვიყავით შეზღუდულებიო, მოიბოდიშა მერიამ. მეც ბოდიშს ვუხდი მერიას ცხელ გულზე პოსტისთვის! მეც დროში ვარ შეზღუდული. დიდხანს რომ გავწელო ამაზე ფიქრი, გული ვერ გამიძლებს...

## გრიგოლ ყიფშიძეს გულშემატკივრების დახმარება სჭირდება



მომღერალ გრიგოლ ყიფშიძეს გულშემატკივრების დახმარება სჭირდება. გრიგოლი წელს საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს, რომელიც 26 ნოემბერს თბილისში გაიმართება.

**გრიგოლ ყიფშიძე:**

– მეგობრებო, მჭირდება თქვენი დახმარება, რომ გავავრცელო ჩემი საკონკურსო სიმღერა „გულის ხმა“. ეს პროცესი უფრო საინტერესო რომ გავხადოთ, მოდით, გავაკეთოთ პატარა კონკურსი, რომელიც გაგრძელდება 12 ნოემბრამდე!

წესები კი ასეთია: თქვენ უნდა გადაიღოთ ფოტო ან ვიდეო, რომელიც დაკავშირებული იქნება ჩემს საკონკურსო სიმღერასთან და გამოაქვეყნოთ ფეისბუქზე ან ინსტაგრამზე საჯაროდ, მონიშნოთ ჩემი ოფიციალური გვერდი, მიუთითოთ ჩემი სიმღერის ბმული და ჰაშთაგით გულის ხმა.

შემდგომ ავირჩევ სამ გამარჯვებულს, რომლებიც მიიღებენ: ჩემს სიდი დისკს ავტოგრაფით, 1 პერსონალურ ვიდეო მესიჯს და 10-წუთიან გასაუბრებას სკაიპში.

## თბილისის აზერბაიჯანული თეატრი თურქეთში დააჯილდოვეს

ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი თურქეთში დააჯილდოვეს. თეატრის დასმა თბილისში ფესტივალის სპეციალური პრიზი ჩამოიტანა.

აზერბაიჯანული თეატრის დასმა ქალაქ ადანას საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ სტამბოლის, აზერბაიჯანის, ანტალიის, ალანიას, ბურსას დრამატული, მუსიკალური და თოჯინების თეატრები.

თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი ფესტივალზე ქართველი მწერლისა და დრამატურგის, დავით კლდიაშვილის პიესით „დარისპანის გასაჭირი“ წარდგა.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები შეილა ჯაფაროვა, ლეილა კასუმოვა, თურგაი ველი ზადე, აიდა თაგიევა, ნამიგ მუსაევი, აისელი მამედოვა.

სამენოვან სპექტაკლში აზერბაიჯანელ მსახიობებთან ერთად, ცნობილი თურქი მსახიობი, ნეჯათი ზენგინიც მონაწილეობდა, მან დარისპანის როლი თურქულ ენაზე ითამაშა. სპექტაკლი რეჟისორმა ვარლამ ნიკოლაძემ დადგა.

ქალაქ ადანას მუნიციპალურ და თბილისის აზერბაიჯანულ სახელმწიფო დრამატულ თეატრებს შორის სამომავლო გეგმებიც დაისახა. ორივე მხარემ ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების მომზადების სურვილი გამოთქვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## პროგრამა

ოთხშაბათი
6 ნოემბერი

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 ნიჭიერი 00.30 მხ/ფ "**ძველი ბიჭები**" 02.10 მხ/ფ "**მოკალი მაცნე**" 04.15 მხ/ფ "**სოფი**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ბზარი**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 20-21 23.15, 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

tv პირველი 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**ცხოვრების გზა**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, 4.00, 6.00 მხ/ფ 20.00 ხალხის პოლიტიკა 23.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 ღალატი

GDS 08.00 ან/ფ "ავატარი 3" 09.00, 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-5**" 10.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-4**" 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები-3**" 21.00 სერ. "**სპირალი 5**" 22.30 მხ/ფ "**საწვრთნელი დღე**" 00.45 მხ/ფ "**უბის წიგნაკი**" 02.45 მხ/ფ "**მუსიკა და ლირიკა**" 04.30 მხ/ფ "**თავისუფლების დევნაში**" 06.10 მხ/ფ "**ამბავი ჩვენს შესახებ**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40 ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00, 3.40 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" 21.00 სერ. "**გაქცეულები**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 პანორამა 00.00 მხ/ფ "**ახალი გამოცხადება**"

06.15 ღვთის სახლი "მოქვი"

06.50 პატერიკი-"ქრისტიან ბერებთან და ძვლების მტვირთველთან შეხვედრა" 06.55 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური "დედა ენის კოლექცია-იაკობ გოგებაშვილი" 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-გალაპაგოსის კუნძულები" 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.25 ქვიშანი დარჩებიან 10.40 თბილისის ტაძრები "ვაკის ყოვლადწმინდა სამების ტაძარი" 10.50 დ/ფ "პიანისტი ალ. კორსანტია" 11.10 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**შერეკილები**" 13.30 ან/ფ "პიტერ პენი" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 სპექტაკლი "**პეპო**" 18.10 დ/ფ "ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად" 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 კარაბადინი "ზ. ბახუტაშვილი, ივ. ბერიტაშვილი" 20.00 საქართველო ევროპულ ოჯახში "პროფესიული განათლება" 20.40 ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი "გლახაკთათვის გაცემული მოწყალება" 21.30 საეკლესიო აღმშენებლობა "ჭერემი" 22.15 საბერძნეთი "გზა წმ. პაისიდან წმ. სპირიდონამდე" 22.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "ესაია" X ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "დიმიტრი ყიფიანი" 23.45 დეკორატიული ფლორა "ყოჩივარდა" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.10 სიახლენი 00.30 ეპოქა და ადამიანები "ილია ჭავჭავაძე" 01.30 კონცერტი

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 ნოემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6284

ევრო — 3.0610

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4351

100 რუსული რუბლი — 4.4819

## ამინდის პროგნოზი 6 ნოემბრისთვის




## 26 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

# კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნაწილი II



**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

## 9 ნოემბრიდან



ალექსანდრე ელისაშვილი

# თბილისის თავგადასავალი

„ასეთ წიგნს დიდხანს ველოდი. საბოლოოდ კი გადავწყვიტე, მე თვითონ დამეწერა, ყველასთვის გასაგებ ენაზე მომეთხრო თბილისის თავგადასავალი“ – ამბობს ავტორი.

წიგნს ერთვის მდიდარი ფოტომასალა

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 14 ნოემბრიდან



# უცხოეთში დაკარგული ქართველები

ბედის უკუღმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

# ბიორკი: „საქართველო ჩემი ფავორიტი ქვეყანაა“



ლეგენდარულმა ისლანდიელმა მომღერალმა და მუსიკოსმა ბიორკმა საქართველოში ორი კონცერტი გამართა. თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზსა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულმა კონცერტებმა სრული ანშლაგებით ჩაიარა.

მომღერალმა თავისი ალბომიდან საუკეთესო კომპოზიციები შეასრულა. ბიორკს აკომპანემენტს საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი უწევდა. საქართველოში ყოფნის დროს მომღერალმა ქართულიც ისწავლა და კონცერტებსა და სოციალურ ქსელში ქართულად მადლობებიც იხადა.

ქართული მუსიკის გაცნობის მიზნით ბიორკის კონცერტის ორგანიზატორებმა ხელოვანის საქართველოს რეგიონებში მოგზაურობაც დაგეგმეს. ინტერნეტში გავრცელდა ბიორკის ფოტოები, სადაც იგი ქართულ კერძებს აგემოვნებს.

კონცერტების დასასრულს კი მუსიკოსმა განაცხადა, რომ საქართველო მისი ფავორიტი ქვეყანაა:

– საქართველო ჩემთვის ძალიან სასიამოვნო გამოცდილება იყო. ეს ჩემი ფავორიტი ქვეყანაა. მადლობა ქართულ ორკესტრს და თქვენ. ბოდიშს გიხდით, ცოტა გაციებული ვარ, მაგრამ მე მოგეცით მთელი გული და სითბო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი



ოსი ადიდებულ მდინარეს მიაქვს და აქეთ-იქით ახეთქებს.

– სენი წირიმე, ხომ მოგყვები და აქეთ-იქით რაღას მახეთქებ?

•••

მოხუცი ციხეში მყოფ შვილიშვილს სწერს:

– ძვირფასო, ძალიან დავბერდი, კარტოფილი ასაღებია, მე კი არავინ მყავს დამხმარე, რომ მოსავალი ავიღო და დავაბინავო.

– ბებია, მე აქედან არავინ გამომიშვებს, მეზობლებს სთხოვე მოგეხმარონ, მხოლოდ ფრთხილად თხარონ, ბაღში ავტომატი მაქვს ჩამარხული, – მისწერა შვილიშვილმა.

მალე ბებიისგან ისევ მიიღო წერილი.

– შვილო, ქალაქიდან ვიღაც კაცები ჩამოვიდნენ მთელი კარტოფილი ამოთხარეს, მაგრამ შენი ავტომატი ვერ იპოვნეს, – წერს ბებია.

– რაც შემეძლო, დაგეხმარე, – მისწერა შვილიშვილმა.

•••

მოსკოვში ტროლეიბუსის მძღოლი აცხადებს:

– გაჩერება „მაღაზია არაყი“. შემდეგი გაჩერება „მაღაზია არყის რიგის დასასრული“.

•••

ქალი ტელეფონზე რეკავს:

– ალო, გამარჯობათ, გივი ხართ?

– არა, ლელა ვარ.

– ჩემი მეუღლის ტელეფონში კი გივი გქვიათ.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– რაღაც ჩვენმა ცხვარმა მოიწყინა, ხომ არ დაკლავდი?

– ეს თუ მას გაამხიარულებს, რატომაც არა...

•••

თეატრში გარდერობთან, ცოლი ქმარს ჩასჩურჩულებს:

– შენ რა, გადაირიე? რატომ მიეცი მეგარდერობეს 20 ლარი?

– უტვინო! შეხედე, შეცდომით როგორი ქურქი მოგვცა!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მაიმუნები ადამიანებზე ჭკვიანები გამოდგნენ...

– რატომ?

– ლაპარაკი არ ისწავლეს, რათა მუშაობა არ აიძულონ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## 7 ნოემბრიდან

გაბრიელ ტანიე

# ქანაანის შვილები




დათო ტურაშვილი ასე აფასებს გაბრიელ ტანიეს და მის „ქანაანის შვილებს“:

– ამ წიგნის ავტორს ახალგაზრდობაში შევხვდი. მაშინ მას სოსო გაჩავა ერქვა. მან თვითონ გააკეთა არჩევანი და სასულიერო პირი გახდა. წლების შემდეგ უკვე ფშავში ვნახე, ჩარგალში მოღვაწეობდა. ხევსურეთში იმ ზაფხულს ისეთი სიტყვები მოვისმინე ხევსურებისგან, სულაც არ მიკვირს ამ წიგნის ყდაზე მისი ხევსურული ფსევდონიმი. ტანიე პატარა ტბის სახელია პირიქითა ხევსურეთში, რომელსაც გულის ფორმა აქვს.

მამა იოსების ეს წიგნი სიყვარულისთვის დაწერილი რომანია და ამ წიგნის მკითხველებსაც დიდი სიამოვნება ელით.

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

## 10 ნოემბრიდან



ანდრეს ინიესტა

# შემოქმედი

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ლეგენდარული ფეხბურთელი ამ წიგნში საუბრობს ოჯახზე, ურთიერთობებსა და იმ გზაზე, რომელიც ლა მანჩაში ბეტონის სტადიონიდან „კამპ ნოუმდე“ გაიარა.

„მე მჯერა იმ ძველი გამოთქმის, რომლის მიხედვითაც, ადამიანს შვილი უნდა ჰყავდეს, ხე დარგოს და წიგნი დაწეროს. საბედნიეროდ, ქალ-ვაჟის მამა ვარ; ჩემს საფეხბურთო კარიერას ყოველთვის ექნება კავშირი ხესთან, იმ სათამაშო მოედანზე რომ იდგა, სადაც ბავშვობაში ბურთს ვაგორებდი; და დამრჩა წიგნი, თქვენ ხელთ რომ არის და რომელსაც „შემოქმედი“ ვუწოდე“, – ამბობს ანდრეს ინიესტა.

**ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი**

# ფაჩულია და გოლდენ სტეიტი კონფერენციაში გალიდერდნენ



ჩემპიონისთვის შეუფერებელი სტარტის შემდეგ გოლდენ სტეიტი მწყობრში დგება და უკვე დასავლეთ კონფერენციის სათავეშიც მოექცა. 7 მოგებითა და 3 წაგებით ოკლენდელები კონფერენციას ჰიუსტონთან ერთად ლიდერობენ. „მეომრები“ მორიგი მატჩის სათამაშოდ დენვერში ჩავიდნენ და ადგილობრივ ნაგეტსს 127:108 მოუგეს.

ზაზა ფაჩულიამ კი ნბა-ს მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩაატარა. ოკლენდელთა ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 14 წუთი გაატარა. ზაზამ 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, ჯამში 8 ქულა მოაგროვა და ამას 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრაც მოაყოლა.

საუკეთესოები კი ტრადიციულად კევინ დიურანტი (25 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), სტეფ კარი (22 ქულა, 11 პასი) და კლეი ტომპსონი (15) გახლდათ. დრეიმონდ გრინმა 15 ქულა და 8 პასი მიითვალა.

მორიგი მატჩი ფაჩულიას გუნდს 7 ნოემბერს შინ მაიამისთან ელის.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ფასიანი ქაღალდი; 6. გეომეტრიული სხეული; 7. ვულკანური წარმოშობის ქანი; 9. ძველფრანგული სამეჯლისო ცეკვა; 10. დათვის ნაშიერი; 11. ვილა ანუ ...; 13. მტაცებელი ფრინველი; 15. ერთგვარი სამხედრო შარვალი; 17. ჯგუფური გასვლა ქალაქგარეთ ქეიფის ელემენტებით; 18. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 19. ტურისტული ცენტრი სვანეთში; 20. მოჩვენება.

**შვეულად:** 1. პლანეტის სამოძრაო გზა; 2. სიმებიანი საკრავი; 3. გადაშენებული უზარმაზარი ქვეწარმავალი; 4. ჩაზელილი კარტოფილი; 5. ჭადრაკის პარტიის ერთგვარი დასაწყისი; 8. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 9. სხვისი გამოსადეგი გამოცდილება; 12. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 14. ამქვეყნიური სიამოვნების უარმყოფელი ადამიანი; 16. მინანქარი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

